GCSD TRC

კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები-FARC

აღწერითი კვლევა

კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები-FARC

აღწერითი კვლევა

ავტორი: ნათათო ფურცხვანიძე

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის პრინციპებს.

GCSD-სთან არსებული ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC) არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიციას. ცენტრის წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

აბსტრაქტი

კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები(FARC) ლათინო ამერიკის ისტორიაში ყველაზე გავლენიანი ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც 1964 წელს დაარსდა, როგორც კომუნისტური პარტიის შეიარაღებული ფრთა, რომელიც მარქსისტ-ლენინისტურ იდეოლოგიას მისდევდა. თავდაპირველად ფარკის მიზანს წარმოადგენდა კოლუმბიაში უთანასწორობის აღმოფხვრა და იგი პოლიტიკურ ელიტებს დაუპირისპირდა, თუმცა 52 წლიანი არსებობის განმავლობაში ფარკი თავს ესხმოდა არამხოლოდ კოლუმბიის რეჟიმების წარმომადგენლებსა და უსაფრთხოების ძალებს, არამედ სამოქალაქო პირებს. კოლუმბიის კონფლიქტს, რომელშიც ფარკთან ერთად კიდევ არაერთი პარტიზანული ორგანიზაცია მონაწილეობდა, 200 000ზე მეტი სიცოცხლე შეეწირა. (revistafal, 2020) 2016 წელს ფარკმა და კოლუმბიის მთავრობამ ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას, ორგანიზაციის ნაწილი პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდა, ნაწილი კი ხელშეკრულებას არ დაეთანხმა, შექმნეს ჯგუფები, რომლებიც ფარკის დისიდენტების სახელითაა ცნობილი და ოპერირებს როგორც კოლუმბიის, ისე მისი მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე.

კვლევაში განხილულია კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების როლი კოლუმბიის კონფლიქტში, მისი წარმოშობის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი, მისი მეტამორფოზა პარტიზანული დაჯგუფებიდან ტერორისტულ ორგანიზაციამდე და ტერორისტული ორგანიზაციიდან პოლიტიკურ პარტიამდე. აღწერილია კოლუმბიის მთავრობების პოლიტიკების ცვლილების გავლენა ორგანიზაციის ტაქტიკაზე, ასევე ფარკის ურთიერთობები კოლუბიის კონფლიქტის სხვა მონაწილე ორგანიზაციებთან. განხილულია აგრეთვე საერთაშორისო საზოგადოების როლი სამშვიდობო მოლაპარაკებების სხვადასხვა ეტაპზე.

ტექსტში გამოყენებული აბრევიატურებისა და ტერმინების განმარტება

FARC-EP - კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები - ხალხის არმია

ELN - ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმია

AUC - კოლუმბიის გაერთიანებული თავდაცვის ძალები

EPL - სახალხო განმათავისუფლებელი არმია

BACRIM - კრიმინალური დაჯგუფებები

M-19 – 19 აპრილის მოძრაობა

CGSB - სიმონ ბოლივარის პარტიზანული საკოორდინაციო საბჭო

UP - პატრიოტული კავშირი

PCCC - კოლუმბიის ფარული კომუნისტური პარტია

სარჩევი

ისტორია 5
ოპერაცია მარკეტალია 6
ორგანიზაციის სტრუქტურა 7
იდეოლოგია 8
ფარკის ადრეული სტრატეგია 10
მეშვიდე პარტიზანული კონფერენცია 12
მნიშვნელოვანი ტერორისტული აქტები 12
ურთიერთობები სხვა ჯგუფებთან 14
კოლუმბიის მთავრობები 16
ფარკის პოლიტიკური ფრონტი 19
პატრიოტული კავშირი 21
ფარკის ფინანსები 23
სამშვიდობო შეთანხმება და საერთაშორისო საზოგადოება 26
ფარკის დისიდენტები 28
ფარკის პოლიტიკური ინტეგრაცია 29
ბიბლიოგრაფია 30

ისტორია

შეიძლება ითქვას, რომ ფარკი მხოლოდ ერთ შრეს წარმოადგენს იმ მრავალწლიანი მოვლენისა, რომელსაც კოლუმბიის კონფლიქტს უწოდებენ და რომელიც სათავეს იღებს მე-19 საუკუნეში და დღემდე გრძელდება მთავრობასა და აჯანყებულ ჯგუფებს შორის ბრძოლის სახით. გეოგრაფიული ბარიერებიდან გამომდინარე, კოლუმბიის მთავრობას არასდროს ჰქონია ეფექტური კონტროლი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, თუმცა პოლიტიკური ნაპრალები გაჩნდა ჯერ კიდევ 1819 წლის კოლუმბიის დამოუკიდებლობისთვის ომის შემდეგ, როდესაც სიმონ ბოლივარმა და განმათავისუფლებელთა არმიამ დაამარცხა მეფე ფერნანდო მერვეს ჯარები. 1839 წელს სამოქალაქო ომი დაიწყო და ერთ დროს დამოუკიდებლობისთვის ერთად მებრძოლი ძალები გაყო. 1899-მდე კიდევ 7 სამოქალაქო ომი მოხდა და ყოველი მათგანი ლიბერალური და კონსერვატიული პარტიების შეჯიბრის შედეგი იყო, ორივე მათგანი თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დასაცავად იბრძოდა. 1902 წელს 100 დღიანი ომის დასრულების შემდეგ კიდევ დიდხანს გაგრძელდა ბრძოლა პოლიტიკურ ელიტებს შორის, რომლის ნაწილიც ძლიერ ცენტრალურ მთავრობას უჭერდა მხარს, ნაწილი კი ძლიერ რეგიონალურ მთავრობებს. (Sierra, 2017)

მე-20 საუკუნის ოციან წლებში ხორხე ელიესერ გაიტანი გამოჩნდა გაღატაკებული კოლუმბიელების იმედად და სახელი მოიხვეჭა კონსერვატიული მთავრობის როლზე აპელირებით 1928 წელს კოლუმბიის არმიის მიერ ბანანზე მომუშავეებზე განხორციელებულ ხოცვა-ჟლეტაში ქალაქ სიენაგაში. გაიტანი მთავრობასა და ჯარს ადანაშაულებდა ბოსტონში დაფუძნებული ხილის კომპანიის თანამზრახველობაში. (Goyeneche, 2021) პოპულისტურმა რიტორიკამ გაიტანს წარმატება მოუტანა და 1950 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებასაც უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა 1946 წელს ახლად არჩეულმა კონსერვატიულმა მთავრობამ დაიწყო ძალადობის გამოყენება და ლიბერალების მიერ განხორციელებული რეფორმების შეცვლა. 1948 წელს ბოგოტას ერთ-ერთ ქუჩაში ლიბერალების ლიდერი ხორხე გაიტანი მოკლეს. ამ მოვლენამ გამოიწვია ე.წ. ბოგოტაზო, სახალხო აჯანყება დაბალი კლასებისა, რაც გამოიხატა დედაქალაქში თავდასხმებითა და ყაჩაღობებით. ხალხის გამოსვლები ბოგოტაში გადაიზარდა ქვეყნის მასშტაბით აჯანყებებში და გახდა ცნობილი, როგორც La Violencia, რომლის დროსაც 200 000ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და მათი უმრავლესობა გლეხებს წარმოადგენდა. 1957 წელს ლიბერალური და კონსერვატიული პარტიები შეთანხმდნენ შეექმნათ ორპარტიული პოლიტიკური სისტემა - ეროვნული ფრონტი, რომელიც არჩევნებში ყველა სხვა პოლიტიკური მოძრაობის მონაწილეობას კრძალავდა. (Palacios, 2003)

ადრეული 60-იანი წლებისთვის, კუბის რევოლუციის გარიჟრაჟზე, კოლუმბიის მმართველი ელიტები ცდილობდნენ გლეხთა ანკლავები საბოლოოდ აღმოეფხვრათ. 1962 წელს, შეერთებული შტატებიდან კოლუმბიაში ჩავიდა სპეციალური ომის გუნდი უილიამ იარბოროჰის ხელმძღვანელობით, რათა შეეფასებინა კოლუმბიის შიდა უსაფრთხოების სიტუაცია და კოლუმბიის არმიის აჯანყების საწინააღმდეგო სტრატეგიები. ჯგუფი საბოლოო ანგარიშში კოლუმბიას უწევდა რეკომენდაციას, განევითარებინა სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურები, რაც აუცილებელი იყო აშშ-ს მიერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხერდრო სფეროებში შემუშავებული გეგმის შესასრულებლად. ანგარიშის რეკომენდაციები შეიტანეს ლათინური ამერიკის უსაფრთხოების ინიციატივაში, რომელიც ცნობილია, როგორც გეგმა LASO - აშშ-ს მიერ მხარდაჭერილი ინიციატივა, რათა დაემარცხებინა მზარდი კომუნისტური გავლენა კოლუმბიაში. აშშ-ს მიერ მიწოდებული იარაღისა და თვითმფრინავების გამოყენებით, კოლუმბიის ჯარმა გააძლიერა გლეხური ანკლავების მიზანში ამოღება. 1964 წლის 27 მაისს კოლუმბიის სამხედროებმა დაიწყეს ოპერაცია მარკეტალია, გამოიყენეს 16 000 კოლუმბიელი ჯარისკაცი, რათა მიზანში ამოეღოთ პატარა სოფელი მარკეტალია. სამხედროები დაუპირისპირდნენ 48 პარტიზან გლეხს, რომელთაც მეთაურობდნენ მანუელ მარულანდა და ჯაკობო არენასი, კოლუმბიის კომუნისტური პარტიის წევრები, რომლებიც მოგვიანებით ფარკის ლიდერები გახდნენ. პარტიზანებმა მოახერხეს თავიდან აერიდებინათ ტყვედ ჩავარდნა და სიკვდილი. უფრო მეტიც, ამ დაპირისპირების პარალელურად, 20 ივლისს ჩატარდა სახალხო კრება, რომელში მონაწილე გლეხებმაც დაამტკიცეს პარტიზანული სტრატეგიის გამოყენება და ჩამოაყალიბეს აგრარული რეფორმის პროგრამა. (Sierra, 2017) მომდევნო წელს პირველი პარტიზანული კონფერენცია მოეწყო და მარკეტალიელი შეიარაღებული გლეხები შეუერთდნენ ჯგუფებს სხვა ანკლავებიდან და ჩამოაყალიბეს სამხრეთის ბლოკი(Bloque sur). ეს ჯგუფი მობილური გახდა და გააფართოვეს ოპერაციების ლოკაციები ცენტრალური კოლუმბიის ანდების მთიანეთიდან ამაზონის ტყეებამდე ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. გლეხებმა მოახდინეს რეგიონის კოლონიზება პატარა ფერმების დაარსებით, რადგან სამხრეთის ბლოკი იცავდა თავის საზოგადოებებს სამხედროებისა და მსხვილი მიწათმფლობელებისგან. (Sierra, 2017)

პარტიზანების მეშვეობით სოფლის თემები ინტეგრირებული გახდნენ ურბანიზაციის პროცესში შედეგების სრული სპექტრით: შრომის განაწილება, სპეციალიზაცია, სოციო-კულტურული კონტაქტი სხვა ჯგუფებთან, სოციალიზაცია და ა.შ. 1966 წელს მეორე პარტიზანული კონფერენცია ჩატარდა და სამხრეთის ბლოკის შეიარაღებულ გლეხთა ჯგუფები ოფიციალურად

გახდნენ კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები(Fuerzas Armadas Revolucionarias de Colombia/FARC), მიუხედავად იმისა რომ თავად ფარკის წევრები თავისი წარმოშობის თარიღად 1964 წლის 27 მაისს, ოპერაცია მარკეტილიას დაწყების თარიღს მიიჩნევენ. მეორე კონფერენციაზე შემოღებულ იქნა ახალი ეროვნული სამხედრო გეგმა და უფრო ამბიციური გეგმა მასობრივი ორგანიზაციის, განათლების, საჯაროობისა და ფინანსების. სწორედ აქ განაცხადეს პირველად, რომ ფარკის პარტიზანული მოძრაობა გრძელვადიან ბრძოლას აპირებდა მუშათა კლასთან ერთად. ასევე დაადგინეს, რომ აუცილებელი იყო მოქმედების არეალის გაფართოება ქვეყნის მასშტაბით. ამრიგად, პარტიზანული თავდაცვის ჯგუფები გარდაიქმნა რევოლუციურ პარტიზანულ ძალად, რომელიც ცდილობდა გაეფართოებინა ოპერაციები ქვეყნის მასშტაბით, რათა საბოლოოდ დაემხო მთავრობა. ორგანიზაციის ლიდერი - მანუელ მარულანდა - ამბობდა, რომ ისინი აშენებდნენ უზენაეს პოლიტიკურ და სამხედრო ავტორიტეტს. მისი აზრით, აუცილებელი იყო რომ პარტიზანები არამხოლოდ სამხედრო წვრთნაში ყოფილიყვნენ, არამედ ჰქონოდათ პოლიტიკური განათლება და მნიშვნელოვანი იყო ეპასუხათ გლეხების ფუნდამენტურ მოთხოვნებზე. მისი თქმით, ფარკი ინარჩუნებდა თვითკრიტიკულ დამოკიდებულებას, რათა თვალი გაესწორებინა პოლიტიკური და სამხედრო შეცდომებისთვის. (Leech, 2011)

ორგანიზაციის სტრუქტურა

ორგანიზაციის მეთაურია მთავარი გადაწყვეტილების მიმღები. მას ექვემდებარება სამდივნო, რომელიც შედგება 7 ლიდერისგან. იგი ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა, გასცემს ბრძანებებს და მისი გადაწყვეტილებები ვრცელდება ორგანიზაციის ყველა წევრზე. ასევე კოორდინაციას უწევს ცენტრალურ უმაღლეს სარდლობასა და განკარგავს ბლოკების ზოგად სტრატეგიას. შემდეგ მოდის ცენტრალური უმაღლესი სარდლობა, რომელიც შედგება 30 სარდლისგან, მათ შორის სამდვნოს უმაღლესი სარდლებისგან. სამდივნოის უმაღლესი სარდლობა კოორდინაციას უწევს ბლოკებს. კოლუმბიის მთელი ტერიტორია დაყოფილია 7 ბლოკად და თითოეული შედგება 5 ან მეტი ფრონტისგან. თითო ფრონტი შედგება სულ მცირე 50 და მაქსიმუმ 500 მებრძოლისგან. დიდი ფრონტები დაყოფილია სვეტებად. ბლოკებში ასევე შედის კომპანიები, რომლებიც წერტილოვან თავდასხმებს ახორციელებენ და პარტიზანები, რომლებიც შედგება ორი რაზმისგან და თითო რაზმი 12 მებრძოლს მოიცავს.

ფარკის შვიდი ბლოკი:

1)ჩრდილოეთის ან კარიბის ბლოკი, განთავსებული კოლუმბიის ჩრდილოეთით, ვენესუელას საზღვართან, ატლანტიკურ სანაპიროზე, სადაც დაახლოებით 5 ფრონტი ოპერირებდა.

2)ჩრდილო-დასავლეთ ბლოკი, პანამას საზღვართან, სადაც 10 ფრონტი ოპერირებდა. ფარავს ანტიოქიის, ჩოკოს, კორდობას, ატლანტიკის და წყნარ სანაპიროებს მაგდალენას შუა ხეობის ირგვლივ.

3)შუა მაგდალენას ბლოკი, რომელიც ვენესუელას საზღვართანაა და 8 ფრონტი ოპერირებდა. ფარავს ბოლივარის, სანტანდერის, სეზარისა და ბოიაკას დეპარტამენტებს.

4)ცენტრალური ბლოკი ფარავდა კოლუმბიის ცენტრალურ მაღალმთიან ნაწილს და ოპერირებდა 6 ფრონტი, ასევე მოიცავდა ფარკის დაბადების ადგილს - მარკეტალიას.

5)აღმოსავლეთ ბლოკი ყველაზე ფართო ოპერაციის რეგიონი იყო და 20 ფრონტი ოპერირებდა. ის ფარავდა აღმოსავლეთ ანდების მთებს და კუნდინამარკას და ბოიაკას ცენტრალურ დეპარტამენტებს.

6)დასავლეთ ბლოკი, ეკვადორის საზღვართან და წყნარი ოკეანის სანაპიროზე, რომელზეც 15 ფრონტი ოპერირებდა. ფარავდა დასავლეთ ანდების მთებს და აღწევდა წყნარ ოკეანემდე.

7)სამხრეთის ბლოკი, პერუს საზღვართან, ფარავდა კაკეტას, უილას, პუტუმაიოს, კაუკას რამდენიმე ნაწილს და ოპერირებდა დაახლოებით 15 ფრონტი. (Gomez, 2014)

იდეოლოგია

ფარკი ეწინააღმდეგება ამერიკულ იმპერიალიზმსა და ფინანსური კაპიტალის მონოპოლიებს. შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა აშშ-ს აქტივობას და გავლენის ზრდას კოლუმბიაში. ფარკის მრავალ ლიდერზე გავლენა მოახდინა მემარცხენე სოციალისტურმა მოძრაობებმა მსოფლიოში. ხაიმე გუარაკასის, ფარკის ყოფილი ლიდერის თქმით, ფარკის ფორმაციის წლებში ორგანიზაციის ლიდერი მანუელ მარულანდა აქტიურად ეცნობოდა და ლენინის, მარქსისა და სიმონ ბოლივარის ნაშრომების გავლენის ქვეშ იყო. მიუხედავას საერთაშორისო კომუნიზმის კოლაფსისა, ცივი ომის დასასრულ ფარკის შიგნით არ გაჩენილა იდეოლოგიური კრიზისი. ამ პერიოდმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფარკის, როგორც რევოლუციური ორგანიზაციის განვითარებაზე. ეს კი მრავალი ექსპერტის აზრით იმან განაპირობა, რომ ორგანიზაციის იდეოლოგია არასდროს ეფუძნებოდა მარქსიზმ-ლენინიზმისა და ბოლივარიანიზმის პრინციპების დოგმატურ ინტერპრეტაციას და მეტიც, ფარკი კომუნისტური იდეოლოგიის

‘ლიბერალურ’ ინტერპრეტაციას ახდენდა, რათა პოლიტიკურ ზრდასა და განვითარებამდე მისულიყო. ორგანიზაციის ერთ-ერთი იდეოლოგი, ივან რიოსი აღნიშნავდა, რომ ორგანიზაციამ ბევრი რამ ისესხა მარქსიზმისგან, თუმცა გარკვეული კონცეპტები მოარგო კოლუმბიის რეალობას. (Brittain, 2010) 90-იანების ბოლოსთვის ორგანიზაციის რიგებში იყვნენ ლიბერალებიც, სოციალისტებიცა და მარქსისტ-ლენინისტებიც. შესაბამისად, ფარკის ერთიანობა ეფუძნებოდა არა იდეოლოგიას, არამედ სტრატეგიას, რომელიც გამოიხატებოდა შეიარაღებულ ბრძოლაში კოლუმბიის მთავრობის წინააღმდეგ. მანუელ მარულანდამ, ორგანიზაციის ლიდერმა აღნიშნა:’ჩვენს ორგანიზაციაში ცოტ-ცოტა ყველაფერია. მაგრამ ფარკი უპირველესად შეიარაღებული და პარტიზანული ორგანიზაციაა, რომლის კარიც ღიაა ნებისმიერი პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური და იდეოლოგიური ტენდენციებისთვის. ფარკში დაშვებულია ყველა, ვისაც სურს ქვეყნის გათავისუფლება.’ ფარკის იდეოლოგიური მრავალფეროვნება ასევე აიხსნება ორგანიზაციის წევრების სოციალური კლასებით. ორგანიზაციის დამფუძნებელ წევრთაგან ბევრი მიეკუთვნებოდა ეგრეთწოდებულ „გლეხთა რესპუბლიკებს“, რომელიც კოლუმბიის არმიამ გაანადგურა კარლოს რესტრეპოს პრეზიდენტობისას. გლეხები, რომლებიც ამ საზოგადოებაში იყვნენ გაწევრიანებული, მეტწილად კომუნისტური და ლიბერალური პარტიებიდან იყვნენ. ამ წევრებთან ერთად არაესპანურენოვანი, ძირძველი ტომებისა და საზოგადოებების წარმომადგენლებიც გაწევრიანდნენ. ზემოხსენებულ ხალხთა ინტერაქციამ წარმოშვა იდეოლოგია და ცხოვრების ისეთი სტილი, რომელიც მხოლოდ „გლეხთა რესპუბლიკებისთვის“ იყო სახასიათო. მოგვიანებით, როცა ფარკს ამ ორგანიზაციის წევრები შეუერთდნენ, მათმა არაერთგვაროვანმა იდეოლოგიამაც იქონია გავლენა ფარკის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე. ფარკის იდეოლოგიური ეკლექტიზმის მაგალითია ასევე 1988 წლის წარმატებული რეკრუტირების კამპანია, რომელიც ბოლივარიანიზმს ეფუძნებოდა. ეს იდეოლოგიური კონცეპტი დიდი სამხრეთ ამერიკელი გენერლისა და კოლონიური ომების დროს სამხრეთ ამერიკის ესპანელების კონტროლისგან განმათავისუფლებლის, სიმონ ბოლივარის პოლიტიკურ ფილოსოფიას ეფუძნება. ბოლივარიანიზმი ხაზს უსვამს ლათინური ამერიკის პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ ერთობას და მძლავრი ანტი-იმპერიალისტური პოლიტიკით გამოირჩევა, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროპის მიმართ. ბოლივარიანიზმმა ფარკის წევრთა რაოდენობის გაზრდასთან ერთად, საშუალება მისცა ორგანიზაციას გამხდარიყო უფრო მიმზიდველი საზოგადოების ურბანული სექტორებისთვის. 1988 წლამდე ფარკი იყო მეტად გლეხებზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომლის წევრების უმრავლესობასაც საშუალო განათლება ჰქონდათ, მაგრამ წარმატებული რეკრუტირების წყალობით ორგანიზაციის რიგებს შეემატა საშუალო და მაღალი კლასის წარმომადგენლები. მაგალითად, ფარკის ყოფილი ფინანსების კომიტეტის უფროსი ხუვენიალ პინედა(ცნობილი, როგორც სიმონ ტრინიდადი) სანამ ფარკის წევრი გახდებოდა, ბანკირი იყო და კოლუმბიის მაღალი საზოგადოების წევრად

ითვლებოდა, თუმცა 1986-88 წლებში ფარკის პოლიტიკური პარტიის - პატრიოტული კავშირის წევრების მკვლელობების შემდეგ, ის იქნა რადიკალიზებული და შეუერთდა ფარკს. (Sierra, 2017)

ფარკის ადრეული სტრატეგია

ჩამოყალიბებისთანავე ორგანიზაციის უდავო ლიდერები იყვნენ მარულანდა და ჯაკობო არენასი. როგორც აშშ-ს არმიის მაიორმა ჯონ მადდალონმა ფარკის შესახებ თავის ანალიზში აღნიშნა:

"მარულანდას პარტიზანი მებრძოლისა და ქარიზმატული ლიდერის უნარები ჰქონდა, არენასი კი ინტელექტუალი მარქსისტი იდეოლოგი იყო. ერთად მათ ჩამოაყალიბეს გუნდი, რომელმაც მიიზიდა სოციალიზმისკენ მიდრეკილი მეამბოხეები. ისტორიკოსი მარკო პალასიოსი ამბობს, რომ ფარკის ადრეულ წლებში წარმატებამ კომუნისტურ პარტიასაც მოუტანა სარგებელი - პრესტიჟი და ცნობადობა როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე მის გარეთ, რადგან მისი 'შეიარაღებული ფრთა" იყო უფრო გლეხებზე ორიენტირებული. (Sierra, 2017)

კუბის რევოლუციის ზეგავლენით სხვა რამდენიმე პარტინაზანული ჯგუფიც ჩამოყალიბდა 60-იანი წლების შუაში, იმავე მიზნით - დაემხოთ ეროვნული ფრონტის მთავრობა. მაგალითად ELN და EPL(ejercito popular de liberacion), რომლებიც ორ ძირითად საკითხზე ორიენტირდნენ:სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ გარიყვაზე, რომელიც აგრარულმა რეფორმამ ვერ მოაგვარა და პოლიტიკურ იზოლაციაზე, რომელიც ორპარტიული ეროვნული ფრონტით იყო წარმოდგენილი. ორივე ზემოხსენებული ორგანიზაციის სათავეში იყო ურბანული საშუალო ფენის ინტელექტუალები, მაშინ, როდესაც ფარკის ლიდერები, არენასის გამოკლებით, გლეხები იყვნენ. (Brittain, 2010)

გასაკვირი არ არის, რომ ფარკის პირველი მნიშვნელოვანი პროგრამა აგრარულ რეფორმას ეხებოდა. მიუხედავად ამისა, პარტიზანების ხედვა გასცდა სოფლის პრობლემებს, რაც რეპრესიულმა რეჟიმმა განაპირობა. 1970 წლისთვის ფარკმა გააფართოვა სამხედრო ოპერირება ქვეყნის მასშტაბით, კონკრეტულად კი კალდასში, ცუნდინამარკაში, ანტიოქიაში, კაუკასა და შუა მაგდალენაში, ასევე ტოლიმასა და უილაში. ფარკის ფრონტების ამ სასოფლო ლოკაციებზე განთავსებამ ხაზი გაუსვა პროგრამის პოლიტიკურ კომპონენტს. 1970დან 1982 წლამდე გეოგრაფიული ექსპანსიის პერიოდში, ფარკი გაიზარდა 500 მებრძოლიდან 3000მდე. (Leech, 2011) 1970იანი წლების ბოლოს, კოლუმბიის პრეზიდენტმა ხულიო ტურბეიმ უპასუხა მზარდ პარტიზანულ საფრთხეს, ბოგოტაში მოღვაწე ამერიკელი დიპლომატის, რობერტ დრექსლერის სიტყვებით რომ შევაფასოთ:

„კოლუმბიაში როხას პინიას მერე ყველაზე რეპრესიული რეჟიმის დამყარებით. პრეზიდენტმა ტურბეიმ ხელი მოაწერა ეროვნული უსაფრთხოების დებულებას, რომელიც შეიარაღებული ძალებს დაპატიმრებისა და სამხედრო ტრიბუნალის იურისდიქციის ქვეშ სხვადასხვა ტიპის დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას აძლევდა. მალევე ტურბეის ადმინისტრაციას ბრალი წაუყენეს არმიის თვითნებური დაპატიმრებების, წამებისა და ხალხის „გაქრობის“ გამო, რაც ლათინო ამერიკის სამხედრო ბრუტალურობის ყველაზე სასტიკი მაგალითი გამოდგა. საბოლოოდ ტურბეის რეპრესიულმა პოლიტიკამ ვერ შეძლო შეეკავებინა ფარკის გავლენის ზრდა, განსაკუთრებით კი სოფლებში. მეტიც, ტურბეის მიერ მიღებულ უსაფრთხოების დებულებას საინტერესო ეფექტი ჰქონდა ფარკის რეკრუტირებაზე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ფარკმა მოიპოვა რეპუტაცია, როგორც დავითისა, რომელიც მძიმედ შეიარაღებულ გოლიათ მთავრობას ებრძოდა. ამ ხედვამ გაზარდა ორგანიზაციის რომანტიკული მეამბოხის სურათი და მათ რიგებში მრავალი ახალგაზრდა მოხალისე ჩაეწერა. (Sierra, 2017)

თუმცა, ისტორიკოსი მარკო პალასიოსი ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფარკი წარმატებული იყო სასოფლო რეგიონებში, ჯგუფმა ვერ შეძლო საერთო პოლიტიკურ აქტივობებში ჩართულიყო, რამაც მისი მარგინალიზება და პოლიტიკური არაეფექტურობა განაპირობა. (Palacios, 2003) დასაწყისშივე პარტიზანებმა აირჩიეს იზოლირება ქალაქების კულტურული და პოლიტიკური ტრენდებიდან. მეთაურები არ ცდილობდნენ შეექმნათ სტაბილური ალიანსები უნივერსიტეტების სტუდენტებთან, კულტურის მუშაკებთან და ა.შ. ისინი ყოველთვის იყვნენ სუსტები ეროვნულ პოლიტიკაში. სოციოლოგი ჯეიმს ბრიტეინის თქმით, ფარკმა ვერ შეძლო ცენტრალიზებულ სახელმწიფოზე გავლენა მოეხდინა, რადგან იგი ცდილობდა საზოგადოების „ქვემოდან“ შეცვლას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარტიზანებმა უგულებელყვეს საზოგადოების ტრანსფორმაციის ისეთი გზები, როგორიცაა არჩევნები და ჩართულობა არსებულ ეროვნულ ინსტიტუტებთან და მოქმედებდნენ ტრადიციული ძალაუფლების სტრუქტურებს მიღმა. მოკლე ვადაში ფარკმა განახორციელა თავისი რევოლუციური პროექტი ადგილობრივ დონეზე რეჟიმის ცვლილების მიღწევის გარეშე ეროვნულ დონეზე, თუმცა ეს უკანასკნელი რჩებოდა ჯგუფის გრძელვადიან მიზნად. (Brittain, 2010)

მეშვიდე პარტიზანული კონფერენცია

80-იან წლებში ფარკი უკვე ფესვგადგმული იყო სამხრეთ და აღმოსავლეთ კოლუმბიის ტერიტორიებზე სამხრეთის ცენტრალურ მაღალმთიანეთში და ოპერირებდა, როგორც დე ფაქტო მთავრობა სოფლის თემებისთვის სოფლების უზარმაზარ მონაკვეთებზე, სადაც სახელმწიფოს ყოფნა არასდროს დაუდგენია, გარდა ზოგჯერ სამხედრო შემოჭრებისა. ამის პარალელურად იზრდებოდა ჯგუფის მებრძოლთა რაოდენობა და სამხედრო რესურსი. 1982 წლის მაისში გამართული ფარკის მეშვიდე კონფერენცია მნიშვნელოვანია, რადგან მან მოუტანა ცვლილება ჯგუფის სამხედრო სტრატეგიას და ამასთანავე შეიცვალა ორგანიზაციის სახელი. ახალი სტრატეგიის თანახმად, ჯგუფი უფრო მასშტაბურ კონფრონტაციებზე უნდა გადასულიყო და გაეფართოვებინა ოპერაციების არეალი საშუალო ზომის ქალაქებამდე. (Contreras, 2018) მეშვიდე კონფერენციაზე ფარკის პოლიტიკურმა ლიდერმა, ჯაკობო არენასმა მოუწოდა ჯგუფს პოლიტიკური აქტივობების გაფართოებისკენ. ფარკის მზარდმა სამხედრო შესაძლებლობებმა კარი გაუღო ჯგუფის ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში ეროვნულ დონეზე. ამ კონფერენციაზე შევიდა ცვლილება ორგანიზაციის სახელში და დაემატა EP(ejercito del pueblo - ხალხის არმია). ამ ერთი შეხედვით მცირე ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია თუ როგორ აღიქვამდნენ ორგანიზაციის წევრები თავიანთ თავსა და აჯანყებას. ფარკი აღარ იყო პატარა რევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ გადარჩენასა და მცირე სასოფლო ტერიტორიების დაცვაზე იყო ორიენტირებული. (Brittain, 2010)

მნიშვნელოვანი ტერორისტული აქტები

- 1983 წლის 8 აპრილი:ფარკმა გაიტაცა აშშ-ს მოქალაქე გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით. ამას აშშზე ფარკის პირველ თავდასხმად მიიჩნევენ. (Villamil, 2016)
- 1995 წელს ბოგოტას უნივერსიტეტთან მოკლეს პრეზიდენტობის სამგზის კანდიდატი და კონსერვატორული პარტიის ლიდერი - ალვარო გომესი. (Colombia Reports, 2020)
- 1996 წლის 30 აგვისტო:ფარკის სამხრეთის ბლოკი თავს დაესხა ლას დელისიას სამხედრო ბაზას სამხრეთდასავლეთ კოლუმბიაში, ეკვადორის საზღვართან ახლოს. დაიღუპა 54 ადამიანი, 17 დაშავდა. (BBC, 2011)

- 1998 წლის 3 აგვისტო: ცნობილია, როგორც 'მირაფლორესის ალყა'. ფარკის 1500ზე მეტი მებრძოლი შევიდა ქალაქ მილაფლორესში და ორი დღის განმავლობაში თავს დაესხა ეკლესიას, საავადმყოფოს, სამხედრო ბაზას, გაიტაცა 129 პოლიციელი. შეეწირა 19 ადამიანის სიცოცხლე. (Villamil, 2016)
- 1998 წლის 1 ნოემბერი: 2000-მდე ფარკის პარტიზანმა დაიწყო სამ დღიანი შეტევა სამხრეთ კოლუმბიის ქალაქ მიტუზე. ფარკმა დროებით დაიკავეს მიტუს პოლიციის სათაო ოფისები. დაახლოებით 800 ფარკის მეამბოხე დაიღუპა, 60-მდე პოლიციელი შეეწირა. (Colombia Reports , 2015)
- 2000 წლის ოქტომბერში ფარკი თავს დაესხა და დაარბია ქალაქი დაბეიდა, რასაც კოლუმბიის არმიისა და პოლიციის 54 წევრის სიცოცხლე შეეწირა. (Gomez, 2014)
- 2002 წლის 23 თებერვალი: ფარკმა გაიტაცა ინგრიდ ბეტანკურტი, პრეზიდენტობის კანდიდატი, თავის კამპანიის მენეჯერთან ერთად. ფარკს ტყვედ ყავდა ისინი, სანამ კოლუმბიის ძალებმა არ გაათავისუფლეს 2008 წელს. (El Tiempo, 2020)
- 2002 წლის 2 მაისს AUC-ის და ფარკის კონფრონტაციისას, AUC-მა ეკლესია გაავსო მოქალაქეებით და ისინი ფარებად გამოიყენა. AUC-ზე თავდასხმის მცდელობისას ფარკმა გაზის ბალონის ბომბი გაუშვა ეკლესიაში და შიგნით მყოფი მოქალაქეები (80ზე მეტი ადამიანი) მოკლა. ამ ტრაგედიას ბოხაიას ხოცვა-ჟლეტა ეწოდა. 2014 წელს ფარკმა პატიება ითხოვა ამ თავდასხმისთვის. (Gomez, 2014)
- 2002 წლის 7 აგვისტო: ფარკის ამბოხებულებმა პრეზიდენტ ალვარო ურივეს ინაუგურაციის ცერემონიისას პრეზიდენტის სასახლესთან ხელნაკეთი ნაღმმტყორცნები ააფეთქეს, რასაც 14 სიცოცხლე შეეწირა, 40 კი დაშავდა. (New York Times, 2002)
- 2003 წლის 15 ნოემბერს ფარკი ბოგოტას ლუდის კომპანიას დაესხნენ თავს ყუმბარებით, რასაც 1 ადამიანი შეეწირა, 73 დაშავდა. (LA Times, 2003)
- 2004 წლის 3 აგვისტოს ანდინაპოლისში მანქანის აფეთქების შედეგად მოკლეს 9 პოლიციელი. (BBC, 2004)
- 2005 წლის 1 თებერვალს ნარინოს პროვინციაში ისკუანდეს საზღვაო ბაზას დაესხა თავს გაზის ბალონების ბომბებით და მოკლა 15 ჯარისკაცი. (BBC, 2005)
- 2005 წლის 24 ივნისს ფარკი თავს დაესხა პუერტო ასისის სამხედრო პოზიციებს და მოკლა 25 პირი და 20 დაშავდა. (Amnesty International , 2008)
- 2008 წლის 1 სექტემბერს ქალაქ კალიში მომხდარი მანქანის აფეთქების შედეგად დაიღუპა 4 და დაიჭრა 30მდე ადამიანი. (Amnesty International , 2008)
- 2009 წლის 21 ნოემბერს ექვსი ადამიანი, მათ შორის ორი ბავშვი შეეწირა ფარკის მიერ დაგეგმილ აფეთქებას. (Martin, 2019)
- 2009 წლის 21 დეკემბერი:პარტიზანებმა მოიტაცეს ლუის ფრანცისკო კელარი, კაკეტას დეპარტამენტის გამგებელი თავისი სახლიდან. კელარის ცხედარი მომდევნო დღეს იპოვეს. (BBC, 2010)

- 2009 წლის 4 და 11 თებერვალს ფარკის თავდასხმებს ჯამში ნარინიოს პროვინციის 17 მკვიდრი შეეწირა. ეს მოვლენა ნარინიოს ხოცვა-ჟლეტის სახელითაა ცნობილი. (hrw.org, 2009)
- 2012 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით ადგილი ჰქონდა ფარკის მიერ სამხედროებზე და პოლიციის დანაყოფებზე თავდასხმების სერიებს, მათ შორის ყველაზე სისხლიანი იყო არაუკას პროვინციაში კოლუმბიელ სამხედროებზე თავდასხმა, როდესაც 11 სამხედრო მოკლეს. (El Pais, 2012)
- 2013 წლის 20 ივლისს, 2012 წლის ნოემბერში დაწყებული სამშვიდობო მოლაპარაკებების მიუხედავად, ფარკის ორი მებრძოლი თავს დაესხა მთავრობის პოზიციებს, რასაც 19 ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა. (BBC, 2013)
- 2014 წლის 11 მარტი: ფარკის შენიღბულმა წევრებმა ცეცხლი გაუხსნეს კოლუმბიის არმიის წევრებს ლა მონტანიას გზაზე, რასაც 4 სიცოცხლე შეეწირა და ამდენივე დაშავდა.
- 2014 წლის 16 ნოემბერს კოლუმბიის გენერალი რუბენ დარიო ალზატე გაიტაცეს. (El Tiempo, 2016)
- 2014 წლის 19 დეკემბერს კაუკას პრივუნციაში მომხდარი თავდასხმის შედეგად მოკლეს 5 ჯარისკაცი. (Los grupos armados de Colombia y su disputa por el botin de la paz , 2017)

2015 წელს სამშვიდობო მოლაპარაკებების საფუძველზე ფარკის თავდასხმების რიცხვი გასულ წლებთან შედარებით შემცირდა, თუმცა რამდენჯერმე დაესხნენ თავს კოლუმბიის უსაფრთხოების ძალებსა და პოლიციას და დააზიანეს ინფრასტრუქტურა. (Los grupos armados de Colombia y su disputa por el botin de la paz, 2017)

ურთიერთობები სხვა ჯგუფებთან

კოლუმბიის კონფლიქტში ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში, ფარკი და ELN იყვნენ მტრებიცა და მოკავშირეებიც. ELN-ს წევრები შეუერთდნენ ფარკსა და კოლუმბიის კომუნისტურ პარტიას, როგორც თანადამფუძნებლები პატრიოტული კავშირისა 1985 წელს. გარდა ამისა, ფარკი და ELN ცვლიდნენ გატაცებულ ტყვეებს, მებრძოლებსა და აჭურვილობას. 2010 წელს მათ გააფორმეს მშვიდობის პაქტი. გავრცელებული ინფორმაციით, ELN ასევე მხარს უჭერდა ფარკის გადაწვეტილებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და კოლუმბიის მთავრობასთან სამშვიდობო შეთანხმებას. გარდა ამისა, ფარკის ლიდერი, მეტსახელად ტიმოჩენკო მხარს უჭერდა ELN-ს

კოლუმბიის მთავრობასთან სამშვიდობო მოლაპარაკებებში ჩართვას. (Contreras, 2018) ფარკი სიმონ ბოლივარის პარტიზანული საკოორდინაციო საბჭოს(CGSB) წევრია, ქოლგა ორგანიზაციისა, რომელიც 1987 წელს შეიქმნა როგორც სამშვიდობო პროცესის შემდგომი ინიციატივა. იგი ასევე მოიცავს ELN-ს, M-19ს(19 აპრილის მოძრაობა) და EPL-ს(ხალხის გამათავისუფლებელი არმია). 1991 წლისთვის ფარკი და ELN CGSB-ს ბოლო წევრები იყვნენ, რადგან დანარჩენი ჯგუფები დემობილიზდნენ და ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას კოლუმბიის მთავრობასთან. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულად ფარკის ყველაზე ძლიერ ოპონენტებს წარმოადგენდნენ კოლუმბიის არმიასთან დაკავშირებული ჯგუფები. 90-იანი წლების განმავლობაში კოლუმბიის გაერთიანებულმა თავდაცვის ძალამ(AUC), ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა მემარცხენე ორგანიზაციამ პარტიზანების წინააღმდეგ მებრძოლი სამხედრო ჯგუფებიდან, მიზანში ამოიღო ფარკის წევრები და მხარდამჭერები. 2000-იან წლებში ფარკიცა და AUC-ც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს კოკაინის პლანტაციებსა და ტრეფიკინგის მარშრუტებზე კონტროლის მოსაპოვებლად. 2000-იანი წლების შუაში მათი ურთიერთობა პარტნიორობაში გადაიზარდა და ორივე იღებდა სარგებელს ნარკოტიკით ვაჭრობაში კოოპერაციისგან. AUC-ს დემობილიზაციის შემდეგ 2006 წელს ფარკმა გააგრძელა თანამშრომლობა მის მემკვიდრე BACRIM-თან ნარკოტიკებით ვაჭრობაში. პერუს ერთ-ერთ პარტიზანულ ჯგუფს - PCP-SL-ს ხშირად ადარებდნენ ფარკს იდეოლოგიური მსგავსებისა და ნარკო-ვაჭრობის დაბეგვრის პრაქტიკის მსგავსების გამო. როგორც ცნობილია, ეს ორი ორგანიზაცია ერთად მუშაობდა ნარკო-ვაჭრობის მიმართულებით 2003 წლიდან ფარკსა და კოლუმბიის მთავრობას შორის სამშვიდობო მოლაპრაკებების დასრულებამდე. (Contreras, 2018)

2002 წელს აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტმა გამოაქვეყნა გამოძიების დასკვნები ირლანდიის რესპუბლიკური პარტიის(IRA) ქმედებებზე კოლუმბიაში,. ანგარიშის თანახმად, IRA-ს სულ მცირე 15 წევრი მოგზაურობდა კოლუმბიაში 1998 წლიდან და მიიღეს სულ მცირე 2 მილიონის ღირებულების ნარკოტიკების შემოსავალი ფარკის წევრების გაწვრთნისათვის. ორგანიზაციების კავშირი პირველად 2001 წლის 11 აგვისტოს გამოვლინდა, როდესაც ბოგოტაში დააკავეს IRA-ს ორი ასაფეთქებელი ნივთიერებების სპეციალისტი და პარტია Sinn Fein-ის წარმომადგენელი ფარკისთვის ბომბის დამზადების მეთოდების სწავლების ბრალდებით. (El Tiempo, 2002)

1998 წელს კონსერვატიული პარტიის კანდიდატმა, ანდრეს პასტრანამ გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში. მისი კამპანია მშვიდობაზე იყო აგებული, რამაც ძალადობის ესკალაციით დაღლილი მილიონობით კოლუმბიელი მიიზიდა. პასტრანას კამპანიის განმავლობაში გაზეთებში იბეჭდებოდა ფოტოები, რომელშიც ჩანდა ფარკის უმაღლესი ლიდერის, მარულანდასა და ანდრეს პასტრანას შეხვედრა, რამაც ბევრი დაარწმუნა, რომ იგი შეძლებდა წარმატებულ სამშვიდობო მოლაპარაკების წარმოებას პარტიზანებთან. არჩევიდან 5 თვის შემდეგ პასტრანამ გაიყვანა 2000 ჯარისკაცი და პოლიციელი ტერიტორიიდან სამხრეთ და აღმოსავლეთ კოლუმბიაში, რომელიც ცნობილია, როგორც გაწმენდილი ზონა(zona de despeje), ფარკთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დასაწყებად. ამისდა მიუხედავად, მოლაპარაკებებს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება არ მოჰყოლია, რაც გაწმენდილი ზონის მიღმა მთავრობის ძალებსა და ამბოხებულებს შორის საომარი მოქმედებების გაგრძელებას ნიშნავდა. ორ წელიწად ნახევარი მთავრობისა და ფარკის მედიატორები ხვდებოდნენ ამ ზონაში ქვეყნის პრობლემების განხილვისა და კონფლიქტის დასრულების მიზნით, მაგრამ ამ პროცესის განმავლობაში გეოპოლიტიკური კონტექსტი მნიშვნელოვნად იცვლებოდა, მაგ: 9/11-ის მოვლენები, რომელმაც შეცვალა აშშ-ს პოლიტიკა კოლუმბიისადმი და ბუშის ადმინისტრაცია არ მიესალმებოდა პასტრანას ლმობიერ პოლიტიკას. (Riaza, 2004) გარდა ამისა, პრეზიდენტ პასტრანას ფარკის ლიდერებთან შეხვედრის დროს, 150ზე მეტი ადამიანი მოკლეს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში AUC-ის წევრებმა, რაც წარმოადგენდა გზავნილს, რომ ორგანიზაცია მხარს არ უჭერდა ასეთ რეკლამირებულ სამშვიდობო მოლაპარაკებებს. ამისდა მიუხედავად, სამშვიდობო პროცესი გაგრძელდა და ფარკი და პასტრანას ადმინისტრაცია შეთანხმდნენ თორმეტ პუნქტიან გეგმაზე 1999 წლის 6 მაისს. საკითხებს შორის იყო აგრარული რეფორმა, ადამიანის უფლებები, სამხედრო რეფორმა და ა.შ. (Brittain, 2010)

პასტრანას ადმინისტრაციის პერიოდში სამშვიდობო მოლაპარაკებებში გარკვეული წარმატებებისდა მიუხედავად, კოლუმბიის ორ დომინანტ პარტიას ძალა არ ეყო გადაეჭრა ძალადობის მიზეზები, რამაც საპრეზიდენტო არჩევნებში 2002 წელს ალვარო ურიბეს, დამოუკიდებელი კანდიდატის გამარჯვება განაპირობა. ურიბე, რომელიც ორი ვადით იყო პრეზიდენტი, ქვეყნის სათავეში მოვიდა პირობით, რომ ძალადობრივ ჯგუფებთან და არალეგალურ ნარკო-ტრეფიკინგთან ბრძოლას დაიწყებდა. 90-იან წლებში კოლუმბია გახდა როგორც რეგიონში, ისე მსოფლიოში კოკაინის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი. სამშვიდობო მოლაპარაკებები პასტრანას ადმინისტრაციის პერიოდში(1998-2002) მარცხით დამთავრდა. ფარკმა გამოიყენა დემილიტარიზებული ზონა, განთავსებული ცენტრალურ მეტას პროვინციაში, რათა გაეძლიერებულიყო. ცენტრალური კოლუმბიის მთავრობამ ფარკს გადასცა

ეს დემილიტარიზებული ზონა, რაც ტრადიციული პრაქტიკაა კოლუმბიურ სამშვიდობო მოლაპარაკებებში, მაგრამ ფარკმა გამოიყენა ეს ზონა ტერორისტული თავდასხმების, ოპერაციების ჩასატარებლად და კოკაინის კულტივაციის გასაზრდელად. (Sierra, 2017) პასტრანას დროს ფარკმა თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია და 20 000მდე მებრძოლი ყავდა. ამ ვითარებამ გზა გაუხსნა პრეზიდენტ ურიბეს აგრესიულ სტრატეგიას. მისი ინაუგურაციისას, 2002 წლის აგვისტოში, ფარკმა ნაღმტყორცნებიდან ცეცხლი გახსნა ცერემონიალზე თავდასხმისას და ასე გამოხატა თავისი პროტესტი არჩეული კანდიდატის მიმართ. პრეციდენტობის პირველ ვადაში ურიბემ გააძლიერა ქვეყნის სამხედრო ძალა და დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები AUC-თან. პრეზიდენტი პასტრანა უარს ამბობდა მემარჯვენე AUC-თან დიალოგზე, თუმცა ურიბემ ხელი შეუწყო ამ პროცესს და მოუწოდა ქვეყანას მხარი დაეჭირა სამართლიანობისა და მშვიდობის კანონისთვის, რომელიც 2005 წელს ამოქმედდა და AUC-ის დემობილიზაციის ჩარჩოს წარმოადგენდა. ამ პროცესმა გაზრდილი სამხედრო გამარჯვებების პარალელურად ფარკის ძალებზე, შედარებით შეაკავა ძალადობა, თუმცა მაინც გრძელდებოდა ქვეყნის მასშტაბით ადამიანის უფლებათა დარღვევები. უსაფრთხოების პოლიტიკამ, რომელსაც თავად ურიბე „დემოკრატიულ უსაფრთხოებას“ უწოდებდა, განაპირობა სწორედ მისი მეორე ვადით არჩევა და მან განაგრძო აგრესიული ბრძოლა ფარკის წინააღმდეგ. 2008 წლის მარტში კოლუმბიის სამხედროებმა დაბომბეს ეკვადორში, კოლუმბიის საზღვართან ახლოს მდებარე ფარკის მეორე მეთაურის - რაულ რეიესის ბანაკი, მოკლეს რეიესი და კიდევ 25 მებრძოლი. ასევე მართში მოკლეს ფარკის მმართველი შვიდი წევრის სამდივნოს ერთ-ერთი ლიდერი. მაისში ფარკმა განაცხადა, რომ მისი დამფუძნებელი და უმაღლესი ლიდერი, მანუელ მარულანდა, გულის შეტევით გარდაიცვალა. ზედიზედ სამი მნიშვნელოვანი ლიდერის სიკვდილმა ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ქაოსი გამოიწვია. 2008 წლის ივლისში კოლუმბიის მთავრობამ გადაარჩინა ფარკის 15 მძევალი, მათ შორის სამი აშშ-ს მოქალაქე, რომლებიც 2003 წლიდან იყვნენ ტყვეობაში, კოლუმბიელი სენატორი და ყოფილი პრეზიდენტობის კანდიდატი, ინგრიდ ბეტანკურტი. (Leech, 2011)

2010 წლის 7 აგვისტოს, ინაუგურაციისას სანტოსმა განაცხადა, რომ იგი გეგმავდა გაჰყოლოდა პრეზიდენტ ურიბეს გზას, თუმცა შეიარაღებულ მეამბოხეებთან დიალოგისთვის კარს ღიას ტოვებდა. სანტოსის ადმინისტრაციამ შეინარჩუნა მკაცრი უსაფრთხოების სტრატეგია და დაიწყო შეტევა ფარკის ლიდერებზე. 2010 წლის სექტემბერში კოლუმბიის სამხედროებმა მოკლეს ფარკის სამხედრო მეთაური ვიქტორ ხულიო სუარესი. 2011 წლის ნოემბერში ფარკის ლიდერი, გილერმო ლეონ საენსი, იგივე ალფონსო კანო მოკლეს. ამის პარალელურად, სანტოსის ადმინისტრაციამ შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთათვის რეფორმების სერია განახორციელა, რომლის შედეგადაც კოლუმბიის კონფლიქტის მსხვერპლთათვის რეპარაციების სახით 5 მილიონი გამოყო. 2012 წელს მშვიდობის სამართლებრივი ჩარჩო დაამტკიცა კოლუმბიის კონგრესმა და ამავე წლის აგვისტოში პრეზიდენტმა სანტოსმა განაცხადა რომ მან დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები ფარკთან. 2015 წლის თებერვალში

ობამას ადმინისტრაციამ გამოუცხადა მხარდაჭერა სამშვიდობო მოლაპარაკებებს, როდესაც ბერნარდ არონსონი, ყოფილი სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დაასახელა აშშ-ს სპეციალურ წარმომადგენლად კოლუმბიის სამშვიდობო მოლაპარაკებებში. პრეზიდენტ სანტოსს 2016 წლის დეკემბერში ნობელის პრემია გადაეცა მშვიდობის დაგრში, რაც ასევე საერთაშორისო მხარდაჭერის გამოხატულება იყო. ეს სამშვიდობო პროცესი სანტოსის ადმინისტრაციის ყველაზე დიდ მიღწევად მიიჩნევა და შეთანხმება ფარავდა ისეთ არსებით საკითხებს, როგორიცაა:აგრარული რეფორმა და სასოფლო განვითარება, ფარკის პოლიტიკური მონაწილეობა, კონფლიქტის დასრულება, დემობილიზაციის, განიარაღებისა და რეინტეგრაციის ჩათვლით და ნარკოტიკების უკანონო ტრეფიკინგი . (Sierra, 2017)

კოლუმბიამ 2018 წლის მარტში ახალი კონგრესი, ივნისში კი ახალი პრეზიდენტი აირჩია ივან დუკეს სახით. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას დუკემ ხაზი გაუსვა თავისი პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს, როგორიცაა მშვიდობისკენ მოწოდება და ნარკო-ტრეფიკინგთან ბრძოლა. დემობილიზებული ფარკის წინააღმდეგ ზომების გამკაცრება დუკეს წინასაარჩევნო დაპირება იყო. 2021 წლის იანვარში ხუთი სტუდენტი მოკლეს კოლუმბიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქალაქ ბუგას ფერმაში. (Justice for Colombia, 2021) საერთო ჯამში ამ თვეში 45 ადამიანი იქნა მოკლული კოლუმბიის არასამთავრობო ორგანიზაცია INDEP-AZ-ის მონაცემებით. გაეროს საკონტროლო მისიამ კოლუმბიაში და Human Rights Watch-მა დააფიქსირა ფარკის 261 ყოფილი მებრძოლისა და 400ზე მეტი უფლებადამცველისა და სოციალური ლიდერის 2016 წლის სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ. 2020 წლის 29 აპრილს ფარკის ყოფილმა მებრძოლებმა მოკლეს ალვარო დაზა - საზოგადოების სამოქმედო საბჭოს ორგანიზაციის პრეზიდენტი, თავის ცოლთან და შვილებთან ერთად სახლში. დაზას ოჯახის შემთხვევა ერთადერთი არაა და რეგიონის მასშტაბით ყოფილი სამხედრო ჯგუფები, მათ შორის ფარკის ყოფილი წევრები იყენებენ ხოცვა-ჟლეტის მეთოდს, რათა გადაჭრან კონფლიქტები. ძირითადად ეს ხდება ადრე ფარკის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე და ამრიგად, მთავრობა ვერ უზრუნველყოფს სამშვიდობო შეთანხმების განხორციელებას. გარდა ამისა, ეროვნული გათავისუფლების არმია(ELN) აგრძელებს ოპერირებას დაახლოებით 3000 აქტიური მებრძოლით. არლენ თიკნერი, როსარიოს უნივერსიტერის პოლიტიკური კვლევის დირექტორი ამბობს, რომ ეროვნული გათავისუფლების არმიასთან მოლაპარაკების მცირე შანსიც კი არ არსებობს დუკეს ადმინისტრაციის პირობებში. მართალია სამშვიდობო შეთანხმებამ მოიტანა ისეთი პოზიტიური ცვლილებები, როგორიცაა 13 000 ფარკის მებრძოლის დემობილიზაცია და შესაბამისად, საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებული სიკვდილიანობის შემცირება, თუმცა კოლუმბია ჯერ კიდევ შორსაა მშვიდობისგან. (Grasa, 2020)

1982 წლის ნოემბერში, ბრეზიდენტმა ბელისარიო ბეტანკურმა, გამოსცა ამნისტია ყველა დაპატიმრებულ პარტიზანზე იმ იმედით რომ დაიწყებოდა სამშვიდობო მოლაპარაკებები ქვეყნის სხვადასხვა ამბოხებულ ჯგუფებთან. ორი სამთავრობო კომისია - მშვიდობის კომისია(-la Comision de Paz) და მრავალპარტიული პოლიტიკური სამიტი(La Cumbre Politica Multipartidaria) შეიქმნა დიალოგის საწარმოებლად კოლუმბიის მთავრობას, პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოებასა და პარტიზანულ ორგანიზაციებს შორის. თუმცა მალევე დაიშალა მრავალპარტიული პოლიტიკური სამიტი, რადგან მისმა წევრებმა არ გამოთქვეს პარტიზანულ ორგანიზაციებთან დიალოგის სურვილი და ერთადერთ მექანიზმად მშვიდობის კომისია დარჩა. კოლუმბიის სამხედროები არ მიესალმებოდნენ სამშვიდობო მოლაპარაკებებს და თავდაცვის მინისტრ ლანდასბალის განვცადებით, კოლუმბიის სამხედროები არასდროს შეეგუებოდნენ ზავს მხარეებს შორის. სწორედ ამ პოზიციის გამო ლანდასბალი გადააყენეს. თავის მხრივ, ფარკმა დააფუძნა ეროვნული მშვიდობის კომისია, რომელსაც ჯაკობო არენასი ხელმძღვანელობდა. 14 თვის განმავლობაში ფარკისა და კოლუმბიის მთავრობას შორის მოლაპარაკებები მიდიოდა. საბოლოოდ 1984 წლის მაისში მთავრობამ და ფარკმა ხელი მოაწერეს ე.წ. ურიბეს შეთანხმებას, რომლის ფარგლებშიც ფარკი დათანხმდა 1 წლით ცეცხლის შეწყვეტას და უკანონო საქმიანობაში ჩართულობის შეჩერებას. სანაცვლოდ, კოლუმბიის მთავრობამ მეტას დეპარტამენტის ტერიტორიაზე კოლუმბიის სამხედროებისა და პოლიციის ძალების ოპერირება აკრძალა. (Martin, 2019) ურიბეს შეთანხმების ფარგლებში ასევე შეიქმნა შემოწმების კომისია(una commission de Verificacion), რომელსაც უნდა განესაზღვრა მთავრობასა და ფარკს შორის საომარი მოქმედებების დამთავრება და მიეცა ფარკისთვის 1 წელი რათა ორგანიზებულიყო ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სოციალურად. 1984 წლის 26 ნოემბრის შეხვედრაზე ფარკმა შემოწმების კომისიას გადასცა, რომ საომარი მოქმედებები მხარეებს შორის დასრულებული იყო და ასევე მოითხოვა საშუალება დაეწყო მომზადება ლეგიტიმური პოლიტიკური პარტიის ორგანიზებისთვის. მოგიანებით კოლუმბიის მთავრობამ დააკმაყოფილა ფარკის თხოვნა და ორგანიზაციამ დააარსა პოლიტიკური პარტია - პატრიოტული კავშირი. მოგვიანებით სამშვიდობო პროცესში ჩაერთო ადრეულ 70-იან წლებში ჩამოყალიბებული EPL და M-19, ხოლო ELN-მ უარი თქვა მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე. როგორც სოციოლოგი რიკარდო ვარგასი აღნიშნავს, ბეტანკურის პოზიცია რადიკალურად განსხვავდებოდა მისი წინამორბედებისგან. იგი იაზრებდა, რომ პარტიზანული ძალადობა რეალური სოციალური პირობების პროდუქტი იყო და ხედავდა კავშირს ამ პირობებსა და ამბოხებულთა მოთხოვნებს შორის. ურიბეს შეთანხმებამ საშუალება მისცა პარტიზანებს შეენარჩუნებინათ სამხედრო სტრუქტურები და იარაღები. ფარკი იცავდა შეთანხმების

პირობებს, განსხვავებით M-19-ისგან, რომელიც გამოეთიშა პროცესს და განაახლა სამხედრო ოპერაციები, რასაც მოჰყვა თავდასხმა უზენაეს სასამართლოზე ბოგოტას ცენტრში და ასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. (Leech, 2011)

1990 წელს ახალარჩეულმა პრეზიდენტმა სეზარ გავირიამ უარო თქვა აჯანყებულების დამფუძნებელთა კრების არჩევნებზე მონაწილეობაზე. ეს ერთი მხრივ იმან განაპირობა, რომ იმავე წლის შემოდგომაზე ფარკმა და ELN-მა თავდასხმები განახორციელეს კოლუმბიის სამხედროებზე. გარდა ამისა, ფარკმა უარი განაცხადა პრეზიდენტის მოთხოვნაზე, რომ ნებისმიერ პარტიზანულ ორგანიზაციას, რომელსაც სურვილი ჰქონდა არჩევნებში მიეღო მონაწილეობა, უნდა დაეყარა იარაღი და დემობილიზებულიყო. არჩევნების დღეს, 1990 წლის 9 დეკემბერს კოლუმბიის სამხედროებმა დაბომბეს La Casa Verde - ფარკის შტაბ-ბინა. ამ მოვლენის შემდეგ ფარკის უზენაესმა მეთაურმა, მარუელ მარულანდამ განაცხადა, რომ ამ ნაბიჯით გავირიას მთავრობამ მოლაპარაკებების ყველა შესაძლო გზა მოჭრა და შედეგებზეც გავირია აგებდა პასუხს. (Leech, 2011) 31 დეკემბერს ფარკმა და ELN-მ დაიწყეს ერთობლივი ოპერაცია „კრაზანა“ და 48 საათში მოკლეს 130 ადამიანი და დაჭრეს 200. პრეზიდენტი გავირია ფოკუსირდა ქვეყნის შიდა უსაფრთხოებაზე, დააწესა ომის გადასახადი, რომელიც კოლუმბიის სამხედროების აღჭურვას მოხმარდებოდა, რათა დაემარცხებინათ ტერორისტული ორგანიზაციები. მიუხედავად მასშტაბური ოპერაციისა, ფარკი კვლავ ჩაება სამშვიდობო მოლაპრაკებებში 1991-1992 წლებში, თუმცა ამჯერად მისი მიზანი, განსხვავებით 80იანი წლებისგან, არ ყოფილა რეალური შედეგის მიღწევა. ფარკის მიერ კოლუმბიელი პოლიტიკოსის, არხელინო კინტეროს გატაცებამ და მოკვლამ ეს მოლაპრაკებები კვლავ ჩაშალა. მიუხედავად ფარკის მუქარისა, რომ იგი ტოტალურ ომს დაიწყებდა, თუ მთავრობა მოლაპარაკების მაგიდას არ დაუბრუნდებოდა. 1994 წელს ერნესტო სამპერის ხელისუფლებაში მოსვლა შეიძლება ითქვას, რომ ფარკისთვის სასიკეთო მოვლენა იყო. სკანდალმა, რომელიც მოჰყვა პრეზიდენტ სამპერის მიერ საპრეზიდენტო კამპანიის ფარგლებში კალის კარტელისგან შემოწირულობების მიღებას, როგორც კოლუმბია-აშშ-ს ურთიერთობა გაამწვავა, ისე ხელი შეუწყო სამპერის პოლიტიკურ იზოლაციას, რითაც ფარკმა სამპერის მთელი პრეზიდენტობის პერიოდში არაერთხელ ისარგებლა. (Martin, 2019)1996 წელს დააარსა ახალი პოლიტიკური მოძრაობა - ბოლივარიანული მოძრაობა ახალი კოლუმბიისთვის. ეს მოძრაობა და მასთან დაკავშირებული პარტია - კოლუმბიის ფარული კომუნისტური პარტია(PCCC), შეიქმნა რათა ჩაენაცვლებინა პატრიოტული კავშირი და მოეპოვებინა საჯარო მხარდაჭერა ფარკისთვის. PCCC ლობირებდა სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას, რომელიც ნაწილობრივ მარქსიზმ-ლენინიზმს, ეროვნულ დემოკრატიულ და რევოლუციურ გამოცდილებებზე იქნებოდა დაფუძნებული. ის ასევე ანტი-იმპერიალისტურ სენტიმენტებზე იყო აგებული , უარყოფდა ნეო-ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას და იბრძოდა ბოლივარიანიზმის ოცნების აღსასრულებლად - გაერთიანებულიყო ლათინური ამერიკა - პარტიზანული ჯგუფების კოოპერაციის შედეგად.

ბოლივარიანული მოძრაობის შექმნით ხაზი გაესვა, რომ ფარკი არ აპირებდა პოლიტიკურ ფრონტზე უარის თქმას და მხოლოდ სამხედრო კონტროლზე ორიენტირებას. ბოლივარიანული მოძრაობის პარალელურად ფარკმა 1996 წლიდან 1998 წლის ჩათვლით თავდასხმები განახორციელა კოლუმბიის სამხედროებზე. 1998 წლისთვის ფარკს 18,000მდე მებრძოლი ყავდა და აკონტროლებდა კოლუმბიის ტერიტორიის თითქმის 40%ს. (Sierra, 2017)

პატრიოტული კავშირი

ფარკმა გამოიყენა სამშვიდობო პროცესი, როგორც პოლიტიკური გავლენის გაფართოების საშუალება და კომუნისტური პარტიის დახმარებით, 1985 წელს დააარსა პატრიოტული კავშირი(Unión Patriótica, UP). UP-მ მიიზიდა მრავალი ისეთი ადამიანი, რომელიც ეძებდა ალტერნატიულ ძალას ორი დომინანტი პარტიის მიღმა, რომლებიც 1974 წელს ეროვნული ფრონტის ფორმალურად დაშლის მიუხედავად, ინარჩუნებდნენ ლიდერობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. არენასი და ფარკის ახალგაზრდა მეთაური, ალფონსო კანო იყვნენ პასუხისმგებლები მთავრობის ელჩებთან შეხვედრაზე ურიბეს შეთანხმების ხელმოწერამდე და UP-ს დაფუძნებაზე. არენასი ფარკის პოლიტიკური ლიდერი იყო მისი დაარსების დღიდან, თუმცა კანო შედარებით ახალი ფიგურა იყო, რომელსაც ურბანულ ინტელექტუალს უწოდებდნენ. არენასმა და კანომ მთავრობის შუამავლებთან განაცხადეს, რომ ფარკს სურდა ჩართულიყო როგორც სამშვიდობო, ისე პოლიტიკურ პროცესში, მაგრამ ამბოხებული ჯგუფი არ აპირებდა დემობილიზაციას, რადგან არ ჰქონდა გარანტია მთავრობის მხრიდან, რომ პასუხი არ იქნებოდა იგივე, რაც La Violencia-ს დროს, როდესაც გათავისუფლებული პარტიზანების მკვლელობები დაიწყეს. ფარკი ხედავდა UP-ს, როგოც მექანიზმს, რომლის წყალობითაც პარტიზანული ჯგუფი გაზრდიდა თავის გავლენას ურბანულ ზონებში და გააცნობდა თავის პოლიტიკურ გზავნილს მოსახლეობას. ფარკის მეშვიდე კონფერენცია დასრულდა ე.წ. „სოლიდარობის უჯრედების“ შექმნისკენ მოწოდებით, რომლის წყალობითაც სოფლებსა და ქალაქებში ხალხის ორგანიზება მოხდებოდა. თავდაპირველად ეს უნდა ყოფილიყო ფარული უჯრედები, თუმცა UP-ის მეშვეობით, მათ შეეძლოთ ღიად ემუშავათ. სარგებელი განუზომელი იყო. მათ შეეძლოთ გაეყიდათ ფარკის იდეები, მოეხდინათ პოლიტიკური მოკავშირეების ორგანიზება და ახალი წევრების რეკრუტირება.

არენასმა უბრძანა ფარკის ფრონტებს რომ დაეორგანიზებინათ და განათლება მიეცათ გლეხებისთვის, როცა ურბანული ინტელექტუალები, სტუდენტები და უნიონისტები ქალაქებიდან უჭერდნენ მხარს. ფარკის ყოველ ფრონტს ჰქონდა პოლიტიკო(político), ან პოლიტიკური წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო როგორც პარტიზანების, ისე სოფლის მოსახლეობისთვის განათლების მიცემაზე. ელემენტარულ ცოდნასთან ერთად, პოლიტიკოს ევალებოდა ასევე პოლიტიკური განათლების მიცემა. ასევე ფარკის ერთეულები დადიოდნენ სოფლიდან სოფელში და ხალხს ატყობინებდნენ პატრიოტული კავშირის შესახებ, უბიძგებდნენ მათ შეექმნათ Junta Patriótica, პატრიორული უჯრედი, რომელიც წარმოადგენდა პარტიას საზოგადოების დონეზე. ფარკი გამოხატავდა მზაობას, ჩაენაცვლებინა მთავრობა იქ, სადაც მთავრობის არსებობა არ იგრძნობოდა. პატრიოტული კავშირი ეროვნული პოლიტიკის სცენაზე დამკვიდრდა და არჩევნების დროისთვის მოახერხა ორგანიზება ოთხი ათასი პატრიოტული უჯრედის. (Leech, 2011) 1986 წელს ადგილობრივი და კონგრესის არჩევნები ჩატარდა, რომელშიც UP-მ საუკეთესო შედეგი დადო მემარცხენე პარტიების ისტორიაში, მოოპოვა 350 ადგილობრივი საბჭოს ადგილი, 23 მოადგილის თანამდებობა, 9 ადგილი წარმომადგენლობით პალატაში და 6 ადგილი სენატში. ორი თვის შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნები ლიბერალური პარტიის კანდიდატმა, ვირხილიო ბარკომ მოიგო, თუმცა პატრიოტული კავშირის კანდიდატმა, ხაიმე პარდო ლეალმა მოიპოვა 329 000 მდე ხმა, რაც მემარცხენე კანდიდატისთვის იმ დროისთვის რეკორდული შედეგი იყო. UP-ის შედეგებმა ლოკალურ და ეროვნულ არჩევნებში მოლოდინებს გადააჭარბა და პირველად კოლუმბიის ისტორიაში, მემარცხენე პარტიამ თავი დაიმკვიდრა ქვეყნის პოლიტიკურ სცენაზე. (Brittain, 2010)

1965 წელს კოლუმბიის მთავრობამ გამოსცა განკარგულება, აშშ-ს არმიის მიერ მოწოდებული შეთავაზების განსახორციელებლად, რომელიც შეიარაღებული ძალების შექმნას ითვალისწინებდა მზარდი პარტიზანული საფრთხის დასამარცხებლად. სამი წლის შემდეგ კანონის მიღებამ სამხედროებს შესაძლებლობა მისცა მოეხდინათ თავდაცვის შენაერთების ორგანიზება. 80იან წლებში ამგვარი თავდაცვის შეიარაღებული შენაერთების რიცხვი გაიზარდა და ვინაიდან ურიბეს შეთანხმება კრძალავდა სამხედროების ჩართვას ამბოხებულთა წინააღმდეგ ოპერაციებში, არმია დაეყრდნო ამ შეიარაღებულ მოკავშირეებს, რომელთაც სამიზნეში ამოიღეს პარტიზანები და ახლდაჩამოყალიბებული პატრიოტული კავშირის წევრები. ამ ახალ შეიარაღებულ ჯგუფებს ასევე მხარს უჭერდა ბიზნესის სექტორი და ნარკოტიკით მოვაჭრეები. ახალარჩეული პრეზიდენტი ბარკო ვეღარ ახერხებდა სამშვიდობო პროცესის მართვას ისე წარმატებულად, როგორც მისი წინამორბედი ბეტანკური. შედეგად, სამშვიდობო მოლაპარაკებები 1987 წელს შეწყდა და ომი ფარკსა და მთავრობას შორის განახლდა. (Sierra, 2017)1987 წლის ოქტომბერში მოკლეს პატრიოტული კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატი, ხაიმე პარდო. მომდევნო წელს UP-ს მოკლული წევრების

რაოდენობა ასამდე გაიზარდა. უსაფრთხოების მიზნით პატრიოტული კავშირისა და ფარკის გაყოფაზე დაიწყო საუბარი. ხაიმე პარდო UP-ს ლიდერის პოსტზე შეცვალა ბერნარდო ოსსამ, რომელიც ბოგოტას აეროპორტში მოკლეს 1990 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის ფარგლებში. 1990 წლისთვის UP-ისა და კოლუმბიის კომუნისტური პარტიის 600-მდე წევრი იყო მოკლული. ამან დაარწმუნა ფარკის ლიდერები, რომ კოლუმბიის ელიტები და სამხედროები არასდროს დაუშვებდნენ მემარცხენე პოლიტიკურ პარტიას რეალური პოლიტიკური ძალაუფლებისთვის მიეღწია. გარდა ამისა, კოლუმბიის მთავრობა ვერ ასრულებდა ურიბეს შეთანხმებით გათვალისწინებულ რეფორმებს და რაც მთავარია, სამშვიდობო შეთანხმების დარღვევა იყო ოპერაციები, რომლის სამიზნე ობიექტებსაც წარმოადგენდნენ ფარკის პოლიტიკური ფრთის წევრები. მიუხედავად ამისა, ფარკის საბრძოლო ერთეულებს გარკვეული დრო სჭირდებოდათ საომარ მოქმედებებში კვლავ ჩასაბმელად, ამიტომ საბოლოოდ კიმპრომისი იქნა მიღწეული ბარკოს მთავრობასთან და ფარკმა განაგრძო სამშვიდობო მოლაპრაკებები, რომლის პარალელურადაც შექმნეს პოლიტიკური დისკუსიების ჯგუფები, ცნობილი, როგორც las reunions bolivarianas del pueblo - ბოლივარიული სახალხო შეკრებები. ამ შეხვედრების ფარგლებში ფარკი ხვდებოდა ადგილობრივ საზოგადოებებსა და განიხილავდა პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს, ასევე ახდენდა ორგანიზაციის პროპაგანდას და სთავაზობდა საზოგადოებებს პოლიტიკურ პროექტებსა და პრობლემების გადაჭრის გზებს. (Contreras, 2018)

ფარკის ფინანსები

გატაცებები გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით ჯგუფის შემოსავლის წყარო გახდა 1970-იანი წლებიდან. 1999 წელს ფარკის გატაცებების რიცხვი, კონკრეტულად კი კოლუმბიის პოლიტიკური ელიტის წევრების, 3000-მდე ავიდა. თავდაპირველად ორგანიზაციამ მიზანში ამოიღო ნარკო მოვაჭრეების ოჯახები, მდიდარი მაღალი კლასის წევრები და უცხოელები, თუმცა შემდეგ გააფართოვა არეალი და საშუალო კლასის წარმომადგენლებსაც იტაცებდა. სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში, 1984 წელს, ფარკმა განაცხადა, რომ შეწყვეტდა გატაცებებს, თუმცა მოლაპარაკებების შემდეგ გატაცებების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. 2001 წელს ფარკის მეთაურმა სიმონ ტრინიდადმა განაცხადა, რომ ფარკი კი არ იტაცებდა ხალხს, არამედ დროებით აკავებდა მათ, რათა ბრძოლისთვის საჭირო რესურსები მოეპოვებინა. 2003 წელს, 1 წლიანი ტყვეობის შემდეგ ფარკის წევრებმა მოკლეს ანტიოქიის

პროვინციის გუბერნატორი გილერმო გავირია. ყველაზე ცნობილი შემთხვევაა 2002 წელს კოლუმბიის პრეზიდენტობის კანდიდატის, ინგრიდ ბეტანკურტის გატაცება, რომელიც სხვა 14 მძევალთან ერთად მხოლოდ 2008 წელს გაათავისუფლეს კოლუმბიის უსაფრთხოების ძალებმა. ფარკმა 4-ჯერ გაიტაცა კაკეტას პროვინციის გუბერნატორი ლუის ფრანსისკო კარვახალი და 2009 წელს გაქცევის მცდელობისას მოკლა. 2010 წელს ფარკმა 12 წლიანი ტყვეობის შემდეგ გაათავისუფლა ჯარისკაცი პაბლო მონკაიო. (Sierra, 2017)

2002 წელს Amnesty International-მა ფარკის ლიდერ მანიელ მარულანდას წერილი გაუგზავნა, რომელშიც გმობდა ფარკის მიერ მოქალაქეების გატაცებას და შეახსენებდა, რომ ისინი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფარგლებში არიან დაცულნი, ვინაიდან არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში. (Amnesty International , 2002) 2000 წელს ფარკმა გამოსცა დირექტივა, სახელწოდებით 'კანონი 002', რომელიც მოითხოვდა გადასახადს ყველა ადამიანისა და კორპორაციისგან, რომლის აქტივების ღირებულება სულ მცირე 1 მილიონ დოლარს შეადგენდა, ვინც გადასახადს არ გადაიხდიდა, ჯგუფი დაატყვევებდა. 2008 წელს, როდესაც ფარკს 700მდე ადამიანი ყავდა დატყვევებული, ვენესუელას პრეზიდენტმა უგო ჩავესმა და კუბას ყოფილმა პრეზიდენტმა ფიდელ კასტრომ მკაცრად გააკრიტიკეს ეს მეთოდი და მოითხოვეს მძევლების გათავისუფლება. 2012 წელს ფარკმა გააუქმა 'კანონი 002' და დაასრულა გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით გატაცების პრაქტიკა. (Gomez, 2014)

გამოძალვა ასევე წარმოადგენდა ფარკის მიერ აპრობირებულ მეთოდს. ფარკი თანხას სძალავდა მსხვილ მიწაღმფლობელებს, საერთაშორისო კორპორაციებსა და აგრობიზნესებს, თუმცა რთულია მიახლოებით გამოთვლაც კი ამ გზით გამომუშავებული თანხისა, რადგან დაზარალებულთა მცირე ნაწილი აცხადებდა ამის შესახებ. ფარკი აკისრებდა ფერმერებს თითო თავ საქონელზე 3.50$-ს(10000 კოლუმბიურ პესოს) წლიურად. კაკეტას დეპარტამენტში, სადაც გამოძალვა ფართოდ იყო გავრცელებული, 2014 წელს დარეგისტრირდა 1,294,718 თავი საქონელი. ეს ფარკს დაახლოებით 4.5 მილიონი დოლარის მოგებას მოუტანდა. თითქმის ყველა ბიზნესს უწევდა გამოძალვით თანხის გადახდა. ტრანსპორტის კომპანიები განსაკუთრებით მოწყვლადი იყვნენ, იხდიდნენ 10-დან 20 დოლარამდე თითო მანქანაში ყოველთვიურად, მაგრამ ასევე იხდიდნენ ნავთობის კომპანიები და მცირე მაღაზიებიც კი. ნებისმიერი საზოგადოებრივი ხელშეკრულება გზების, ხიდებისა და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის გადასცემდა ფარკს ხელშეკრულების ღირებულების 10-დან 15 პროცენტამდე, რათა ჰქონოდა უფლება დაუბრკოლებლად ემუშავა ფარკის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. (Sierra, 2017)

საგულისხმოა, რომ, მართალია 2012 სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებამდე ფარკმა შეწყვიტა გატაცებები, რომლის გზითაც 300 მილიონ დოლარამდეც კი გამოიმუშავა გატაცებების პიკის დროს 2002 წელს, მაგრამ ფინანსური დეფიციტი შეავსო ოქროს უკანონოდ მოპოვების სექტორში ჩაბმით, რასაც ხელი იმ ფაქტმაც შეუწყო, რომ სამშვიდობო

ხელშეკრულებაში ვერ მოხერხდა ოქროს უკანონოდ მოპოვების ჩართვა და კოლუმბიის მთავრობა დღემდე ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს ამ მიმართულებით. (Gomez, 2014) ფარკი პატარა მასშტაბის პარტიზანული მოძრაობა იყო 70-იან წლებში. ამ პერიოდში იგი ჩართული იყო ადგილობრივ გლეხებთან და მხარს უჭერდა მათ სასოფლო აქტივოვობებს. შესაბამისად, ფინანსურ მხარდაჭერას იღებდა ღარიბი გლეხებისა (Compensinos) და გარე იდეოლოგიური პარტნიორებისგან, როგორიცაა რუსული და კუბური კომუნისტური ჯგუფები. ფარკის მზარდი სამხედრო ძლიერება და ტერიტორიების კონტროლის გაფართოება რეგიონებში 1980-იან და 90-იან წლებში განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა, მათ შორის იყო კოკაინის ბუმი აშშ-ში. ასევე, კოკაინის წარმოების პიკმა 80-იან წლებში გავლენა იქონია კოლუმბიის საზოგადოების ყველა სექტორზე, გახდა კოლუმბიის მთავარი საექსპორტო საქონელი და 2015 წლისთვის კოლუმბია 646, 000კგ კოკაინს აწარმოებდა ყოველწლიურად. გამონაკლისი არც ფარკი ყოფილა. ფარკის სამეხდრო ძლიერებას ხელი შეუწყო შემოსავალმა, რომელსაც ჯგუფი გამოიმუშავებდა ნარკოტიკებით ვაჭრობით. 90-იან წლებში ჯგუფი გამოიმუშავებდა წლიურად დაახლოებით 300 მილიონ დოლარს. კოკაინს ჰქონდა სარგებელი სოფლის მეურნეობის პერსპექტივიდანაც - მისი უნარი, აყვავებულიყო ღარიბ ნიადაგზე და სიმარტივე, რომლითაც იგი გადამუშავდებოდა არაფუჭებად პროდუქტად. ღარიბი კოლუმბიელი გლეხებისთვის, რომლებსაც არ ჰქონდათ წვდომა კომპლექსურ ირიგაციასა და განვითარებულ სასუქებზე, ეს პროდუქტი ეკონომიკურად მომგებიანი იყო. გარდა ამისა, აშშ-ში კოკაინზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა მაღალი ფასები კოკაინზე. ფარკის ლიდერებმა პუტუმაიოს, კაკეტასა და გუაბირეს პროვინციებიდან გაიაზრეს კოკაინთან დაკავშირებული ეკონომიკური ბენეფიტები და გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ ორგანიზაციის ნარკოვაჭრობაში ჩართვისათვის, მიუხედავად ჯგუფის იდეოლოგიური განსხვავებებისა ნარკოტიკით ვაჭრობასთან დაკავშირებით. მეშვიდე პარტიზანულ კონფერენციაზე ფარკმა ოფიციალურად დაამტკიცა კოკაინის მოყვანა ფინანსების მოპოვების ლეგიტიმურ საშუალებად. მანვე შესთავაზა დაცვა და უკეთესი პირობები ღარიბ გლეხებს, რომლებიც ეწეოდნენ კოკაინის კულტივაციას. (Contreras, 2018)

საგულისხმოა, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ფარკი აკონტროლებდა, ასევე ყაყაჩოს კულტურები იყო. აშშ-ს ნარკოტიკებთან ბრძოლის დეპარტამენტის(DEA) შეფასებით, კოლუმბია ყოველ წელს ორ ტონამდე ჰეროინს აწარმოებს. თუ შევხედავთ ფარკის ტერიტორიებსა და პლანტაციებს, შეუძლებელია ამ ინდუსტრიითაც არ მიეღო სარგებელი. ფარკი ასევე ჩართული იყო მარიხუანას ბიზნესში კაუკას დეპარტამენტში. მე-6 ფრონტმა და ჯაკობო არენასის მობილურმა სვეტმა მოიპოვეს მარიხუანას წარმოებაზე მონოპოლია კაუკას მაღალმთიანეთში. ფარკი საკმაოდ არაეფექტურად უმკლავდებოდა ნარკოტიკებით ვაჭრობას. მართველი სხეული - სეკრეტარიატი, ყოველთვის ცდილობდა დისტანცირებას ნარკო ვაჭრობისგან პოლიტიკური ნიშნით და პასუხისმგებლობას გადასცემდა ინდივიდუალურ ფრონტებს. ამიტომ ვაჭრობა

არასდროს კონტროლდებოდა ცენტრალიზებულად და არც პოტენციური მოგება იზრდებოდა მაქსიმალურად, განსხვავებით BACRIM-ისგან, რომელიც ახერხებდა მაქსიმალური მოგების მიღებას. ნარკოტიკებით ვაჭრობითა და სხვა უკანონო ქმედებები მიღებულმა შემოსავალმა განაპირობა **ფარკის ფინანსური კომისიის შექმნა.** ეს ინსტიტუტი, რომელიც ორგანიზაციის მაღალი რანგის წევრებისგან შედგებოდა, პასუხს აგებდა ჯგუფის ფინანსების განკარგვაზე, ადგენდა ყოველწლიურ ბიუჯეტს ფარკის ფრონტებისთვის. დაქვემდებარებულ ერთეულებზე კონტროლის გასამტკიცებლად და დასარწმუნებლად, რომ ყველა მატერიალური მონაპოვარი საბოლოოდ ფინანსურ კომისიამდე მიდიოდა, ერთეულების დონის ფინანსური კომისიები დაარსდა. გარდა ამისა, ფინანსური მრჩევლები - ayudantias დაუნიშნეს თითოეულ ფრონტს, რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ გამოყოფილი თანხებით პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მიღწევა. (Sierra, 2017)

სამშვიდობო შეთანხმება და საერთაშორისო საზოგადოება

კოლუმბიის მთავრობამ პრეზიდენტ ხუან მანუელ სანტოსის ხელმძღვანელობით სამშვიდობო მოლაპარაკებები ფარკთან 2012 წლის სექტემბერში დაიწყო და 2016 წლის ბოლოს გააფორმა, რისი მეშვეობითაც დაასრულა ამბოხებული ჯგუფის როლი 5 ათწლეულზე მეტხანს გაგრძელებულ კონფლიქტში, რომელსაც 220 000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 5 მილიონი კი დევნილია. შეთანხმების თანახმად, კოლუმბიის მთავრობას მხარი უნდა დაეჭირა მასიური ინვესტიციებისთვის სასოფლო განვითარებაში და ხელი შეეწყო ფარკის ლეგალურ პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნისთვის. ფარკმა პირობა დადო, რომ გაანადგურებდა არალეგალური წამლის კულტურებს და გადაუხდიდა მსხვერპლებს რეპარაციებს 1 ტრილიონი პესოს სახით. (Casey, 2016) ფარკის ლიდერები შეძლებდნენ თავიდან აერიდებინათ სამართლებრივი დევნა რეპარაციებისა და საზოგადოებრივი სამუშაოს წყალობით. 2016 წლის 1 ოქტომბერს ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც კოლუმბიის მოსახლეობამ მხარი არ დაუჭირა სამშვიდობო შეთანხმებას. მთავრობა შეხვდა დაზარალებულებსა და შეთანხმების ოპონენტებს, რომელთაგან 500-ზე მეტი შესწორება მიიღო და განაგრძო მოლაპარაკებები ფარკთან. განახლებულ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც საჭიროების შემთხვევაში შეთანხმების პირობების შეცვლა შესაძლებელი ხდებოდა, ფარკმა ხელი 24 ნოემბერს მოაწერა. განიარაღების შემდეგ ფარკი გახდა ლეგალური პოლიტიკური პარტია, რომელიც იყენებს განსხვავებულ სახელს იმავე აკრონიმის ქვეშ. (Grasa, 2020)

სამშვიდობო პროცესში აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო საზოგადოება და იგი იყო როგორც ფასილიტატორი, ისე გარანტორი მშვიდობიანი მოლაპარაკებების. 2016 წლის 25 იანვარს გაეროს უსაფრთხოების საბჭომ მხარი დაუჭირა მიმდინარე მოლაპარაკებებს ჰავანაში რეზოლუციის(A/RES/2261) ერთხმად მიღებით. (UN News, 2016) წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი წარმოადგენდა დამოუკიდებელ შუამავალს და აწარმოებდა ლოგისტიკურ მხარდაჭერას. ფარკის მომლაპარაკებლების ჰავანაში ტრანსპორტირების გარდა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ჩართული იყო რამდენიმე მძევლის, ასევე ფარკის მებრძოლებისა და კოლუმბიის სამხედროების გამოხსნის ოპერაციებში. სამშვიდობო პროცესს და ჰავანას სამშვიდობო მოლაპარაკებებს მხარს უჭერდა კუბისა და ნორვეგიის მთავრობები, რომლებიც საბოლოო შეთანხმების გარანტორებიც იყვნენ და ამ ქვეყნების ჩართულობამ კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის გაღვივება და სამშვიდობო პროცესის სტაბილურობა განაპირობა. მრავალი მოსაზრების თანახმად, სწორედ საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობის ნაკლებობა გახდა ანდრეს პასტრანას პრეზიდენტობის პერიოდში მოლაპარაკებების ჩაშლის მთავარი მიზეზი. ნორვეგიამ ასევე წვლილი შეიტანა სამშვიდობო პროცესში კოლუმბიაში საგამოძიებო ჯგუფის გაგზავნით, რომელსაც სამოქალაქო ომის მომწამვლელი ნარჩენებისგან უნდა გაეწმინდა გარკვეული ტერიტორიები. გასაკვირი არაა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებები ოფიციალურად ოსლოში გაიხსნა. ჩილესა და ვენესუელას მთავრობები სამშვიდობო პროცესის დამკვირვებლები იყვნენ. პროცესს ასევე მხარს უჭერდნენ ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი და ეკუადორის პრეზიდენტი რაფაელ კორრეა. (Villamil, 2016)

ფარკი არის აშშ-ს უცხოური ტერორისტული ორგანიზაციების სიაში 1997 წლის ოქტომბრიდან. ასევე ტერორისტულ ორგანიზაციად ცნო ევროკავშირმა, კანადამ, ჩილემ, ახალმა ზელანდიამ, ბრაზილიამ, არგენტინამ, ეკვადორმა და ვენესუელამ(გაიდოს მთავრობამ). 1998 წლამდელ სამშვიდობო მოლაპარაკებებში კოლუმბიის მთავრობასა და ტერორისტულ ჯგუფებს შორის საერთაშორისო საზოგადოების როლი მწირი იყო, რაც ნაწილობრივ იმანაც განაპირობა, რომ პარტიზანულ ჯგუფებს ჰქონდათ ძლიერი საერთაშორისო კავშირები და მოახერხეს 'მოქმედების ცენტრების' დაარსება როგორც ლათინო ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში, ისე ევროპაში. მოგვიანებით სამპერის ადმინისტრაციის პირობებში სახელმწიფომ კონტროლი დაკარგა ეროვნული ტერიტორიის დიდ ნაწილზე, სადაც ხდებოდა არალეგალური ნივთიერებების წარმოება, რომელიც ასაზრდოებდა ამბოხებულ ჯგუფებს. სწორედ ამ პერიოდში წითელი ჯვრის ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კოლუმბიაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სტანდარტების დამკვიდრებაში და საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის გამოყენებაში, რისი მეშვეობითაც ფარკმა გაათავისუფლა დატყვევებული 72 ჯარისკაცი. (Villamil, 2016) მას შემდეგ, რაც გაერომ თავისი სპეციალური მრჩეველი გაგზავნა კოლუმბიაში 1999 წელს, ორგანიზაცია აქტიურად ჩაერთო ფარკთან და ELN-სთან მოლაპარაკებებში. პასტრანას ადმინისტრაციის დროს მხარეები დათანხმდნენ გაეროს ნახევრად ფორმალურ ჩართვას, რაც არ გულისხმობდა

შუამავლობას ან ფასილიტატორობას. თუმცა განსაზღვრულობის ნაკლებობამ გაეროს წარმომადგენლისთვის რთულ ამოცანად აქცია მოლაპარაკებების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. რაც შეეხება შეერთებულ შტატებს, 9/11-ის მოვლენების შემდგომ მისი პოლიტიკა კოლუმბიის მიმართულებითაც შეიცვალა და მისი სამხედრო დახმარება კოლუმბიაში გავრცელდა არამხოლოდ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაზე, არამედ ფარკისა და სხვა ტერორისტული ჯგუფების წევრთა განეიტრალებაზე. (Contreras, 2018)

ფარკის დისიდენტები

2016 წელს კოლუმბიის მთავრობასა და ფარკს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებას არ დაეთანხმა ორგანიზაციის წევრთა გარკვეული ნაწილი, რომელთაც უარი თქვეს იარაღის დადებაზე. ამ ჯგუფს ფარკის დისიდენტებს ან კარლოს პატინოს ფრონტს უწოდებენ და ისინი დღემდე აქტიურად განაგრძობენ თავდასხმებს არამხოლოდ კოლუმბიის შეიარაღებულ ძალებზე, არამედ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე და ჩართული არიან ნარკოვაჭრობაში. სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად კოლუმბიის მთავრობას უნდა დაეცვა ფარკის ყოფილი წევრები, რაც ვერ მოხერხდა და ხშირ შემთხვევაში თავს ესხმოდნენ და კლავდნენ ფარკის წევრებსა და მათ ოჯახებს, სწორედ ამიტომ, ფარკის დისიდენტები ებრძვიან მთავრობას, რომელმაც ვერ შეძლო მათი საზოგადოებაში რეინტეგრირება. (Rueda, 2020) 2018 წლის 15 ივლისს კოლუმბიისა და პერუს მთავრობებმა დაიწყეს ერთობლივი სამხედრო ოპერაცია არმაგედონი, რათა დაემარხებინათ ფარკის დისიდენტები და პუტუმაიოს პროვინციაში, რომელიც კოლუმბიისა და ეკვადორის საზღვრებთანაა, მოახერხეს აეყვანათ 50 ტერორისტი. (Reuters , 2018) 2019 წლის 28 ივლისს კარაკასში ლათინო ამერიკისა და კარიბის მემარცხენე პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების კონფერენციაზე ვენესუელას პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ განაცხადა, რომ ფარკის დისიდენტების ლიდერებს - ივან მარკესსა და ხესუს სანტრიხს გზა ხსნილი ჰქონდა ვენესუელაში, (Reuters, 2019) თუმცა 2021 წლის 21 მარტს, ფარკის დისიდენტების ვენესუელას არმიაზე თავდასხმის შემდეგ, ვენესუელას ეროვნულმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია ფარკის დისიდენტების წინააღმდეგ ვენესუელაში, აპურეს პროვინციაში. (Ebus, 2021)

ფარკის პოლიტიკური ინტეგრაცია

Comunes (საერთო ალტერნატიული რევოლუციური ძალა) - კომუნისტური პოლიტიკური პარტია, დაარსებული 2017 წელს და ფარკის პოლიტიკური მემკვიდრე. ფარკის ყოფილი მებრძოლებისა და კოლუმბიის საიდუმლო კომუნისტური პარტიის წევრების მონაწილეობით. სამშვიდობო შეთანხმებამ ფარკსა და კოლუმბიის მთავრობას შორის 2016 წელს ლეგალურად ცნო ფარკის მონაწილეობა პოლიტიკაში. პარტია იდეოლოგიურად მარქსისტულია და ფოკუსირდება სიღარიბესა და კორუფციაზე, განსაკუთრებით სოფლებში, ასევე მიწის რეფორმაზე. მისი ლიდერია ტიმოლეონ ხიმენესი, ცნობილი, როგორც „ტიმოჩენკო“, ფარკის ყოფილი უზენაესი ლიდერი და სამხედრო ოფიცერი. საგულისხმოა, რომ ფარკის პირველი აღიარება პოლიტიკურ პარტიად 1980 წელს, UP-ის დაარსების შემდეგ მოხდა, თუმცა პარტიის ლიდერების მკვლელობების მერე, პოლიტიკურ მონაწილეობაზე ნაკლებად იყო ფოკუსირებული. დღესდღეობით ფარკის მემკვიდრე პარტიაც მისი წინამორბედი პატრიოტული კავშირის გზას იმეორებს და მომრავლდა პოლიტიკური მკვლელობები. სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 წლის თავზე 35%-ით გაიზარდა პოლიტიკური ძალადობა და არაერთი ლიდერი იქნა მოკლული, თუმცა უკვე განიარაღებულ ფარკზე ფართომასშტაბიან თავდასხმებსა და ‘პოლიტიკურ გენოციდს’ აღარ ვარაუდობენ. (Colorado, 2021) 2019 წელს ფარკის ყოფილმა მეორე მეთაურმა - ივან მარკესმა განაცხადა, რომ იგი უბრუნდებოდა შეიარაღებულ ბრძოლას, რადგან მთავრობა არ ასრულებდა შეთანხმებას. (BBC News, 2019) მარკესის ამ პოზიციას არ დაეთანხმა ფარკის ყოფილი უზენაესი ლიდერი - როდრიგო ლონდონიო და განაცხადა, რომ საერთო ალტერნატიული რევოლუციური ძალა კვლავ სამშვიდობო შეთანხმების ერთგულია. კოლუმბიის მოქმედი პრეზიდენტი - ივან დუკე - მიიჩნევს, რომ ფარკის პოლიტიკური მონაწილეობა დანაშაულებისთვის სასჯელის მოხდის გარეშე ქვეყნისთვის საზიანოა და სამშვიდობო შეთანხმებაში ცვლილებები უნდა განხორციელდეს. (Semana.com , 2021) სამშვიდობო შეთანხმების მიხედვით საერთო ალტერნატიულ რევოლუციურ ძალას აქვს გარანტირებული 5-5 ადგილი კოლუმბიის სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში 2026 წელს, თუმცა პარტია ძალიან არაპოპულარულია. (Colorado, 2021)

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ კოლუმბიის შეიარაღებული კონფლიქტი დღემდე გრძელდება. სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ 253 ფარკის ყოფილი მებრძოლი მოკლეს (Aljazeera, 2021), რამაც ფარკის დისიდენტებს მოქმედებისთვის გაუხსნა გზა. გარდა ამისა, როგორც კოლუმბიის ტერიტორიაზე, ისე მის მეზობელ ქვეყნებში განაგრძობენ ოპერირებას ისეთი ჯგუფები, როგორიცაა ELN, EPL, Clan del Golfo და მრავალი სხვა.

ბიბლიოგრაფია

(2016 წლის 16 11). მოპოვებული https://www.eltiempo.com/archivo/documento/CMS-14840497: https://www.eltiempo.com/archivo/documento/CMS-14840497-დან

Aljazeera. (2021 წლის 18 January). *Killings of Colombia ex-FARC fighters persist amid peace process*. მოპოვებული https://www.aljazeera.com/news/2021/1/18/killings-of-colombia-ex-farc-fighters-persist-amid-peace-process: https://www.aljazeera.com/news/2021/1/18/killings-of-colombia-ex-farc-fighters-persist-amid-peace-process-დან

Amnesty International . (2002 წლის 8 November). *Amnesty International .* მოპოვებული https://www.amnesty.org/download/Documents/112000/amr231242002en.pdf: https://www.amnesty.org/download/Documents/112000/amr231242002en.pdf-დან

(2008). *Amnesty International .* London: Amnesty International Secretariat .

BBC. (2004 წლის 27 09). მოპოვებული http://news.bbc.co.uk/2/hi/americas/3605546.stm: http://news.bbc.co.uk/2/hi/americas/3605546.stm-დან

BBC. (2005 წლის 03 02). მოპოვებული http://news.bbc.co.uk/2/hi/americas/4231337.stm: http://news.bbc.co.uk/2/hi/americas/4231337.stm-დან

BBC. (2010 წლის 06 01). მოპოვებული https://www.bbc.com/mundo/america_latina/2010/01/100105_0255_farc_caqueta_irm: https://www.bbc.com/mundo/america_latina/2010/01/100105_0255_farc_caqueta_irm-დან

BBC. (2011 წლის 1 6). მოპოვებული https://www.bbc.com/news/world-latin-america-13611215: https://www.bbc.com/news/world-latin-america-13611215-დან

BBC. (2013 წლის 21 07). მოპოვებული https://www.bbc.com/news/world-latin-america-23394408: https://www.bbc.com/news/world-latin-america-23394408-დან

BBC News. (2019 წლის 29 August). *Colombia ex-Farc rebel Iván Márquez issues call to arms*. მოპოვებული BBC News: https://www.bbc.com/news/world-latin-america-49508411-დან

Brittain, J. J. (2010). *Revolutionary Social Change in Colombia - The Origin and Direction of the FARC-EP.* London: Pluto Press.

Casey, N. (2016 წლის 26 September). *El gobierno colombiano firmó el acuerdo de paz con las Farc*. მოპოვებული New York Times: https://www.nytimes.com/es/2016/09/26/espanol/el-gobierno-colombiano-firmo-el-acuerdo-de-paz-con-las-farc.html-დან

Center for International Security and Cooperation. (თ. გ.). *Center for International Security and Cooperation*. მოპოვებული https://cisac.fsi.stanford.edu/mappingmilitants/profiles/revolutionary-armed-forces-colombia-farc#text_block_14724: https://cisac.fsi.stanford.edu/mappingmilitants/profiles/revolutionary-armed-forces-colombia-farc#text_block_14724-დან

Colombia Reports . (2015 წლის 18 08). მოპოვებული https://colombiareports.com/colombian-state-convicted-for-neglect-allowing-deadly-1998-farc-attack/: https://colombiareports.com/colombian-state-convicted-for-neglect-allowing-deadly-1998-farc-attack/-დან

Colombia Reports. (2020 წლის 5 10). მოპოვებული https://colombiareports.com/the-murder-of-alvaro-gomez-victims-wounds-reopened-after-25-years/: https://colombiareports.com/the-murder-of-alvaro-gomez-victims-wounds-reopened-after-25-years/-დან

Colorado, F. A. (2021 წლის 22 January). *El futuro del partido FARC, una discusion mas alla del nombre* . მოპოვებული pares.com: https://pares.com.co/2021/01/22/el-futuro-del-partido-farc-una-discusion-mas-alla-del-nombre/-დან

Contreras, J. (2018). *FARC-EP: Insurgencia, terrorismo y narcotráfico en Colombia.* Bogota: Editorial Dykinson.

Ebus, B. (2021 წლის 28 April). *A Rebel Playing Field: Colombian Guerrillas on the Venezuelan Border*. მოპოვებული International Crisis Group: https://www.crisisgroup.org/latin-america-caribbean/andes/rebel-playing-field-colombian-guerrillas-venezuelan-border-დან

El Pais. (2012 წლის 18 03). მოპოვებული https://elpais.com/internacional/2012/03/18/actualidad/1332034749_886366.html: https://elpais.com/internacional/2012/03/18/actualidad/1332034749_886366.html-დან

El Tiempo. (2002 წლის 3 February). *FARC estarian usando tecnicas de IRA*. მოპოვებული El Tiempo : https://www.eltiempo.com/archivo/documento/MAM-1333128-დან

El Tiempo. (2016 წლის 16 11). მოპოვებული https://www.eltiempo.com/archivo/documento/CMS-14840497: https://www.eltiempo.com/archivo/documento/CMS-14840497-დან

El Tiempo. (2020 წლის 02 03). მოპოვებული https://www.eltiempo.com/politica/proceso-de-paz/torturas-cometidas-por-las-farc-contra-ingrid-betancourt-que-niegan-468150: https://www.eltiempo.com/politica/proceso-de-paz/torturas-com-
etidas-por-las-farc-contra-ingrid-betancourt-que-niegan-468150-დან

Five teenagers killed in Colombia's sixth massacre of 2021. (2021 წლის 26 January). მოპოვებული justiceforcolombia.org: https://justiceforcolombia.org/news/five-teenagers-killed-in-colombias-sixth-massacre-of-2021/-დან

Gomez, G. S. (2014). *Guerrilla y población civil - Trayectoria de las Farc .* Bogota: Centro Nacional de Memoria Historica.

Goyeneche, A. N. (2021 წლის 9 4). *El Tiempo*. მოპოვებული https://www.eltiempo.com/politica/partidos-politicos/-
jorge-eliecer-gaitan-consecuencias-del-asesinato-del-liberal-el-9-de-abril-202430: https://www.eltiempo.com/politica/partidos-politicos/-
jorge-eliecer-gaitan-consecuencias-del-asesinato-del-liberal-el-9-de-abril-202430-დან

Grasa, R. (2020). *Colombia cuatro años después de los acuerdos de paz:un analisis prospectivo.* Madrid : Foundacion Carolina.

hrw.org. (2009 წლის 10 02). მოპოვებული https://www.hrw.org/news/2009/02/10/colombia-farc-kills-17-indigenous-group: https://www.hrw.org/news/2009/02/10/colombia-farc-kills-17-indigenous-group-დან

Justice for Colombia. (2021 წლის 23 January). *Five teenagers killed in Colombia's sixth massacre of 2021*. მოპოვებული JusticeforColombia.org: https://justiceforcolombia.org/news/five-teenagers-killed-in-colombias-sixth-massacre-of-2021/-დან

LA Times. (2003 წლის 17 11). მოპოვებული https://www.latimes.com/archives/-
la-xpm-2003-nov-17-fg-colombia17-story.html: https://www.latimes.com/archives/-
la-xpm-2003-nov-17-fg-colombia17-story.html-დან

Leech, G. (2011). *The Farc - The Longest Insurgency .* London: Zed Books .

(2017). *Los grupos armados de Colombia y su disputa por el botin de la paz .* Brussels : International Crisis Group .

(2017). *Los grupos armados de Colombia y su disputa por el botin de la paz.* Brussels : International Crisis Group.

Maduro says missing FARC leaders are 'welcome in Venezuela'. (2019 წლის 29 July). მოპოვებული Reuters: https://www.reuters.com/article/us-venezuela-politics-idUSKCN1UO028-დან

Martin, C. J. (2019). *El Acuerdo de Paz en Colombia: Entre la perfidia y la potencia transformadora .* Buenos Aires : Consejo Latinoamericano de Ciencias Sociales .

New York Times. (2002 წლის 8 8). მოპოვებული https://www.nytimes.com/2002/08/08/world/explosions-rattle-colombian-capital-during-inaugural.html: https://www.nytimes.com/2002/08/08/world/explosions-rattle-colombian-capital-during-inaugural.html-დან

Palacios, M. (2003). *Entre La Legitimidad Y La Violencia.* Bogota: Norma Editorial .

Reuters . (2018 წლის 18 July). *Peru arrests more than 50 in anti-drug bust at Colombian border*.

მოპოვებული Reuters: Peru arrests more than 50 in anti-drug bust at Colombian border-დან
Reuters. (2019 წლის 29 July). *Maduro says missing FARC leaders are 'welcome in Venezuela'*. მოპოვებული Reuters: https://www.reuters.com/article/us-venezuela-politics-idUSKCN1UO028-დან
revistafal. (2020 წლის 14 12). *revistafal*. მოპოვებული https://revistafal.com/la-reparacion-de-las-victimas-del-conflicto-armado-colombiano-y-el-acuerdo-de-paz-en-2020/: https://revistafal.com/-la-reparacion-de-las-victimas-del-conf-licto-armado-colombiano-y-el-acuerdo-de-paz-en-2020/-დან
Riaza, W. R. (2004). La politica internacional de Estados Unidos y la internacionalizacion del conflicto en Colombia. *Estudios Politicos*, 163-192.
Rueda, M. (2020 წლის 3 November). *Colombia Farc: The former rebels who need bodyguards to stay safe*. მოპოვებული BBC News: https://www.bbc.com/news/world-latin-america-54778291-დან
Semana.com . (2021 წლის 4 February). *Duque dice no creer en "lágrimas de cocodrilo" de ex Farc sobre reclutamiento de menores*. მოპოვებული https://www.semana.com/nacion/articulo/duque-dice-no-creer-en-lagrimas-de-cocodrilo-de-ex-farc-sobre-reclutamiento-de-menores/202146/: https://www.semana.com/nacion/articulo/duque-dice-no-creer-en-lagrimas-de-cocodrilo-de-ex-farc-sobre-reclutamiento-de-menores/202146/-დან
Sierra, J. R. (2017). *Breve historia del conflicto armado en Colombia.* Madrid : Los Libros de la Catarata.
UN News. (2016 წლის 25 January). *UN Security Council approves mission to monitor peace deal between Colombia and FARC*. მოპოვებული UN News: https://news.un.org/en/story/2016/01/520852-un-security-council-approves-mission-monitor-peace-deal-between-colombia-and-დან
Villamil, X. A. (2016). *La comunidad internacional y su participacion en los procesos de paz en Colombia.* Madrid: Equidad & Desarrollo.

დანართები

დანართი 1.1 - ფარკის შვიდი ბლოკი